საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 11 აპრილი. 2022 წ. №48 (9386) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საუკუნის თავზე გმირად აღდგა

შუქი ბნელმა ვერ შესჭამა!

გმირობამ თავად იპოვა...

მოვა სიკვდილი უჩინო

წარმავალია ნათელი,
სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება,
ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე
ბალახი აბიბინდება.
იმასაც მოკლედ უვლია,
გრძლად ვინც გვეგონა იარა.
შუქს ბნელი შესჭამს,
ვარდს – ჭია,
კაცის გულს – ჯავრის იარა,
მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგყრის იარაღს;
ჩვენ რას წავიღებთ ამ სოფლით,
სხვას არა წაუღია რა.

პრეზიდენტმა სახალხო პოეტს, ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილეს, „შეფიცულთა რაზმის“ წევრს **მიხეილ (მიხა) ხელაშვილს** სიკვდილის შემდეგ ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

მიხეილ (მიხა) ხელაშვილის ეროვნული გმირის ორდენი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა, სადაც მიხა ხელაშვილის პირადი არქივია დაცული.

„მიხა ხელაშვილის ეროვნული გმირის ორდენს ეროვნულ ბიბლიოთეკას რომ გადასცემენ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიხა ხელაშვილის პირადი არქივია დაცული, ის ფოტოც, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ გადაუღეს და აკრძალული იყო მისი დაკრძალვა. ეს ფოტოც ჩვენთან არის დაცული. მე მიხარია, რომ გამოვეცით მიხა ხელაშვილის სრული კრებული. ხვალიდან ეს ორდენი წიგნის მუზეუმში იქნება დასვენებული და ყველა ქართველს შეეძლება ნახვა“, – აღნიშნა ლევან თაქთაქიშვილმა, ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა.

ვეცდები, ეს ჯილდო ვატარო ღირსეულად

პრეზიდენტმა ასევე, 9 აპრილთან დაკავშირებით, ღირსების მედლით დააჯილდოვა 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე, უსინათლო მომღერალი ლელა ვეფხვაძე.

„მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა ადამიანს ამ სითბოსთვის. მე ყოველთვის ვგრძნობ ადამიანებისგან გაღებულ სითბოს, სიყვარულს. ძალიან დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ქალბატონ სალომეს, ჩემს საყვარელ პრეზიდენტს და მინდა ვუთხრა, რომ ვეცდები, ეს ჯილდო ვატარო ღირსეულად, ვეცდები, ნამდვილად ვიყო ისეთი შვილი, როგორიც ჩვენს ქვეყანას შეეფერება, როგორსაც იმსახურებს ეს დალოცვილი და მადლიანი ქვეყანა“, – აღნიშნა ლელა ვეფხვაძემ.

სალომე ზურაბიშვილი:

წარსულმა გვასწავლა, რომ ვიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, როცა ვართ ერთიანნი!

...**მოვისმინეთ** პირველი პრეზიდენტის ეს ისტორიული სიტყვები. ამ დროს და ამ დღეს არ უნდა დავივიწყოთ ვინც ამ აქტის სათავეში იდგა – ზვიად გამსახურდია და მის მიერ მიღებული ყველაზე სწორი, ყველაზე დროული, პოლიტიკური და ვიტყოდი ეროვნული გადაწყვეტილება – გამოცხადებული რეფერენდუმი.

მინდა მოგმართოთ პირადად თქვენ, აქ დამსწრეებს, უზენაესი საბჭოს წევრებს, ამ აქტის ავტორებს და ხელმომწერებს. თქვენ ამით აღასრულეთ ნება ერისა. დაამკვიდრეთ სამართლებრივად ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამით თქვენ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავეთ. ამისათვის თქვენ ქართველი ხალხის უდიდესი პატივისცემა და მადლიერება გეკუთვნით.

ამ აქტით გაიმარჯვა თავისუფლებამ და გაიმარჯვა საქართველომ!

1991 წლის 9 აპრილს, ამ აქტზე ხელის მოწერით – დავამარცხეთ 1989 წლის 9 აპრილის ღამის ტრაგედია!

ამ აქტით აღვასრულეთ 9 აპრილს შეწირულთა ნება და ხმა ერისა... ამ აქტით, და ერთად, დავამარცხეთ 9 აპრილის ტანკები, დავამარცხეთ ნიჩბები და დავამტკიცეთ, რომ მსხვერპლი ტყუილად არ ყოფილა. სწორედ მათი უმაღლესი მონაპოვარია, რომ სულ ცოტა ხანში, ორი წლის შემდეგ, რეფერენდუმით გამყარებული დამოუკიდებლობა დავიბრუნეთ. სწორედ იმ დღიდან, 9 აპრილი საზეიმო დღედ გადაიქცა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისა და გამარჯვების სიმბოლოდ! ასე უნდა აღვიქვამდეთ მას და ამ დღეს ზეიმით უნდა აღვნიშნავდეთ!

დღეს კი, როცა ისტორია უკრაინაში კიდევ ერთხელ თავის უსასტიკეს სახეს გვიჩვენებს, როცა რუსის ტანკები, დამოუკიდებელ ქვეყანას თავს ესხმის და როცა ოცდამეერთე საუკუნეში წარმოუდგენელი ბარბაროსული სცენები იხატება, ჩვენი ქვეყნის განვლილი ისტორიის ტრაგიკული მაგალითი იმედის და მხნეობის მომცემია. ამიტომ ვიცით და გვჯერა, რომ უკრაინის მიერ გაღებული უმძიმესი მსხვერპლი, მისი გამარჯვების საწინდარი იქნება. ვიცით და გვჯერა, რომ ბუჩასა და კრამატორსკის ტრაგედიები როგორც ჩვენი 9 აპრილის ტრაგიკული ღამე, გახდება სულიერი გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების საწინდარი.

ასეთი შავი დღეები საზრდოა ეროვნული სულის სიმტკიცისა და გამძლეობისა. დღეს ამას რომ ვამბობთ, ამ დიდი მარხვის დღეებში, ვიცით და გვჯერა, როგორც ჯვარცმას მოჰყვება აღდგომა ისე ტანჯვას მოჰყვება გამარჯვება!

9 აპრილი ჩვენთვის კიდევ სხვაგვარი მაგალითია. ეს ჩვენი უახლესი ისტორიის ის პერიოდია, როცა საზოგადოება შეკრული და ერთიანი იყო. ამიტომ, სწორედ დღეს საჭიროა, რომ დავუბრუნდეთ ჩვენი ერთიანობის საფუძვლებს, ვუპასუხოთ საზოგადოებაში არსებული ეროვნული თანხმობის მოთხოვნას არა მხოლოდ მოწოდებებით და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, არამედ ქმედებით. ამ პროცესმა უნდა მიგვიყვანოს თანხმობის ერთობლივ დოკუმენტამდე, რომელმაც უნდა ასახოს ჩვენი საერთო ხედვა და საერთო ნება.

სინამდვილეში, საზოგადოება უკვე თანხმდება ყველაზე მთავარზე:

ერთიანები ვართ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების არჩევანში,

ერთიანები ვართ ევროინტეგრაციის გზის არჩევანში,

ერთიანები ვართ კანონის უზენაესობის არჩევანში.

იხ. 2 გვ.



ადამიანი უნდა ცხოვრობდეს იმედით

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ, თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, მრევლს მიმართა და მარიამ მეგვიპტელის კვირა მიულოცა.** წირვას საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა.

„ჩვენთან არს ღმერთი! გილოცავთ დღევანდელ დღეს. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს იმედით. იმედი თანამგზავრი უნდა იყოს ჩვენი. ჯვარი გეწეროთ ორსავე სოფელსა შინა. ჩვენ გულითადად მივესალმებით ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც ესწრებოდა წირვას. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა!“, – აღნიშნა პატრიარქმა.

სალომე ზურაბიშვილი:

წარსულმა გვასწავლა, რომ ვიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, როცა ვართ ერთიანნი!

(პირველი გვერდიდან)

დღეს ასევე, ერთიანები ვართ უკრაინის მიმართ სოლიდარობაში. ჩვენს ერთობაზეა დამოკიდებული, რომ სხვამ ვერ შეძლოს ჩვენი მანიპულირება, ჩვენი პროვოკაციაში ჩათრევა და ჩვენ მიერ არჩეული გზიდან გადახვევა. ჩვენ თუ ჩვენს თავში ვიქნებით დარწმუნებულნი, გაერთიანებულნი ჩვენი მთავარი პრინციპების ირგვლივ და შევძლებთ, რომ არსებული გამოწვევების წინაშე ერთიანი სახელმწიფოებრივი პოზიცია გვქონდეს და ბოლომდე დავიცვათ, ეს იქნება 9 აპრილის კიდევ ერთი გამარჯვება.

9 აპრილის მაგალითი სწორედ ამას გვასწავლის, რომ მხოლოდ ერთიანობით, ერთსულოვნებით და ერთიანი მომავლის ხედვით შეუძლია საქართველოს, გაუძლოს ამ საუკუნის გამოწვევებს, როგორც გაუძლო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. ჩვენმა წარსულმა გვასწავლა, რომ ვიმარჯვებთ მაშინ, როცა ვართ ერთიანნი და არა მაშინ, როცა ორ ან მეტ ბანაკად ვართ გაყოფილნი. 9 აპრილი ამის დასტურია, როცა ქვეყანა ურთულესი გამოწვევების წინაშე იდგა და ერთად დგომით წნეხსაც გაუძლო და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს 9 აპრილის გამოცდილებიდან: ჩვენ გვასუსტებს მხოლოდ შიდა დაპირისპირება; უთანხმოება კი მტერს უხსნის გზას, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება არ მარცხდება!

ეს ეხება, ასევე ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში და რომლებთანაც, ბოლოს და ბოლოს საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, რომლის გარეშე საერთო მომავალი არ არსებობს. მინდა დღეს, აქედან, საქართველოს პრეზიდენტის სასახლიდან, მოგმართოთ თქვენ. მოგმართოთ იმ დროს, როცა შეიძლება ვიღაც ომის საფრთხით ცდილობდეს მანიპულირებას და ცრუ შიშების გაღვივებას. უნდა იცოდეთ, და ამ სიტყვებზე მე ვაგებ პასუხს, როგორც ამ ქვეყნის არჩეული პრეზიდენტი, საქართველოს მიერ დადებულ პირობაზე, რამეთუ კავკასიამ არ იცის საკუთარი სიტყვის თუ დადებული პირობის გატეხა. საქართველო ომით ტერიტორიების დაბრუნებას არც ცდილობს და არც ეცდება მომავალში, ეს ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა. ყველანი ხომ ვხედავთ, რომ ომით მოპოვებული ტერიტორიები არაფრის მომტანია: არც განვითარების, არც თვითდამკვიდრების და არც იდენტობის დაცვის.

დღეს საქართველოს პერსპექტივა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა — აჩქარებული ევროპული ინტეგრაციის გზაა. გვინდა ხელი გამოგიწოდოთ და ამ გზაზე — დემოკრატიის, თვითდამკვიდრებისა და თავისუფლების გზაზე, შემოგთავაზოთ, რომ ერთად ვიაროთ. ერთიანობა ვერც დაძალებით, ვერც სხვისი დამონებით მოიპოვება. ეს გზა განვლილი გვაქვს. მაშასადამე მრავალფეროვნება, მრავალაზროვნება, მრავალეთნიკურობა, ასევე მრავალპარტიულობა ამ ერთიანობის განუყოფელი ნაწილია. ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ დათმობაც, სხვისი აზრის გათვალისწინებაც — თუ არა, სულ ცოტა გაგება მაინც, და ქვეყნის ინტერესების ჩვენს პირად, პარტიულ თუ სხვა ინტერესებზე მაღლა დაყენება!

ამას ვუსურვებ სრულიად საქართველოს ამ 9 აპრილის დიდებულ დღეს! გაუმარჯოს საქართველოს!

2022 წ. 9 აპრილი

აშშ-ის საელჩო: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია!

შეერთებული შტატები არ აღიარებს 10 აპრილს საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონში გამართულ ეგრეთ წოდებულ საპრეზიდენტო არჩევნებსა და მის შედეგებს, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

„ჩვენი პოზიცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანია: ეს რეგიონები საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ამას ვერ შეცვლის ვერც „არჩევნები“ და ვერც აპრიორი უკანონო „რეფერენდუმი“, რომელიც სამხრეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლისკენ მოუწოდებს. შესაბამისად, ჩვენ ხაზს ვუსვამთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ახლა, როდესაც რუსეთი უკრაინაში სასტიკ, არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ ომს აწარმოებს და გამიზნულად ესხმის თავს უკრაინელ ხალხსა და ქალაქებს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დაცვა ამ ფუნდამენტური პრინციპებისა, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ, მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ შეაჩეროს თავისი ომი უკრაინაში და მის მიერ საქართველოს ოკუპაცია, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. მათ შორის, რუსეთის ძალების გაყვანა კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, საქართველოს რეგიონების: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმება და ამ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფა“, — აღნიშნულია საელჩოს განცხადებაში.

ცხინვალის კიდევ ერთი უკანონო ნაბიჯი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში გამართული ე.წ. არჩევნების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს 10 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გამართულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის ფედერაციის მორიგ უკანონო აქტს, რომელიც სრულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს.

მსგავსი პროვოკაციული ქმედებები მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების უკანონო ოკუპაციისა და ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის ლეგიტიმაციას.

საქართველოს ორი განუყოფელი რეგიონის უკანონო ოკუპაციისა და საოკუპაციო ძალის მიერ ადგილზე განხორციელებული ეფექტური კონტროლის პირობებში ხსენებულ ე.წ. არჩევნებს ვერანაირი სამართლებრივი შედეგი ვერ ექნება. ამასთან, არანაირი სამართლებრივი შედეგის მომცემი არ იქნება ცხინვალში საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაანონსებული ე.წ. რეფერენდუმი რუსეთის ფედერაციასთან მიერთების შესახებ, რომელიც ანექსიისკენ გადადგმულ მორიგ უკანონო ნაბიჯს წარმოადგენს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, და შეცვალოს უკანონო გადაწყვეტილება ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადოდ შეაფასოს და ქმედითი რეაგირება მოახდინოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ მიმართულ უკანონო ნაბიჯზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

სირაქლემობის დასასრულის დასაწყისი

1989 წლის 9 აპრილის მოვლენები 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის აქციით დაიწყო. ხელისუფლება ჯიუტად არ იმჩნევდა მასობრივ პროტესტს და თუ იმდროინდელ პრესას გადავხედავთ, თითქოს მხოლოდ იმით იყო აღელვებული, რომ შიმშილობის აქცია ხელს უშლიდა ტრანსპორტის მოძრაობას დედაქალაქში. მაგრამ თუნდაც ამ ხელისშეშლის საილუსტრაციოდ დიდხანს არც ერთი კადრი არ უჩვენებიათ ტელევიზიით და არც ერთი ფოტო არ გამოქვეყნებულა პრესაში. მოკლედ, დიდი სირაქლემობა სუფევდა — თავი ქვიშაში და სიგარეტი — პირში!

პირველი ვიზუალური საჯარო დოკუმენტი, სადაც საქართველოში დაწყებული პერმანენტული აქციაა ასახული, გახლავთ აი, ეს ფოტო, რომელიც გაზეთ „სამშობლოს“ 1988 წლის 24-ე, ნოემბრის, ნომერში დაიბეჭდა მე-3 გვერდზე. ფოტო ჩემი თხოვნით თუ დავალებით, სპეციალურად გაზეთ „სამშობლოსთვის“ გადაიღო ერთ-ერთმა საუკეთესო ქართველმა ფოტორეპორტიორმა, აწ განსვენებულმა გოგი ცაგარელმა. ფოტო ერთვის ქართული პრესის მიმოხილვას, რომლის ავტორი ზურაბ აბაშიძე გახლავთ.

1985 წლიდან მოყოლებული, მთავარი რედაქტორი ვარ ხან რის და ხან რის, და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს არაფრის გამოქვეყნება ისე არ გამჭირვებია, როგორც ამ, ერთი შეხედვით, უწყინარი ფოტოსი. საამისოდ ალესილი დანის პირზე სიარული მომიხდა. ვისაც საბჭოთა პრესა და მისი მარწუხები ახსოვს, ადვილად გაიგებს ჩემს მაშინდელ მდგომარეობას. ახალგაზრდა ვარ, „ახკომში“ ერთხელ უკვე მოხსნილი, ის-ის არის, დამნიშნეს „სამშობლოს“ რედაქტორად, თანამდებობას კი ვუფრთხილდები, მაგრამ პროფესიული მოვალეობა და ღირსება მეტი მიღირს...

ამ ფოტოს გამო ცენზორთა მითითება, მათთვის მოულოდნელად, გავაპროტესტე და მერე უკვე დიდი ბრძოლა გადამხდა არა მხოლოდ ცენზურასთან, არამედ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთანაც, სადაც ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალებოდა და ნაწილობრივ დათმეს, რაშიც — და ეს ხაზგასმული მადლიერებით უნდა ითქვას, — გადამწყვეტი როლი ითამაშა ცეკას მაშინდელმა მდივანმა იდეოლოგიის დარგში, ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ.

ხოლო ნაწილობრივ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მასალას ორი ფოტო უნდა დართვოდა, მაგრამ ერთი მათგანი ბოლოს მაინც ამოგვაღებინეს, რადგან ის საერთო ხედით იყო გადაღებული, დიდ ტერიტორიას მოიცავდა და მოვლენის მთელ მასშტაბს ასახავდა, მანამდე არნახულსა და შთამბეჭდავს. ეს კი, პარტიული ხელმძღვანელობის აზრით, მაშინ მართლა მეტისმეტი იქნებოდა, რადგან ოფიციოზი დაბეჯითებით იმეორებდა, რომ აქცია მცირერიცხოვანი იყო და მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებდა, მეტი არაფერი.

მერე და მერე „სამშობლოს“ ამ გარღვევას ნელ-ნელა მოჰყვა სხვა ფოტოები სხვა გაზეთებში და ბოლოს ტელევიზიაშიც გამოჩნდა პერმანენტული აქციის ამსახველი მოკლე და „დავარცხნილი“ კადრები. ამ პროცესის ტრაგიკული ფინალი გახლდათ 9 აპრილის ღამეს იური როსტის მიერ გადაღებული ფოტოები გაზეთში „მოლოდიოჟ გრუზიი“, რომელსაც ვახტანგ აბაშიძე რედაქტორობდა. მერე ამას მეორე იურის — იური მეჩითოვის — ის საყოველთაოდ ცნობილი ფოტოც მოჰყვა, 9 აპრილის ერთგვარ ფოტოსიმბოლოდ რომ იქცა.

„მოშიმშილეთა ერთი ჯგუფი მთავრობის სასახლის კიბეებზე“ — ასეთი წარწერა აქვს „სამშობლოში“ გოგი ცაგარლის ფოტოს. სადღაც კი მაქვს არქივში, მაგრამ, სამწუხაროდ, ფოტოს ორიგინალს ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიე. თუმცა სურათის წინა პლანზე ხუთი პიროვნება მეტ-ნაკლებად მკაფიოდ ჩანს, ვინ არის მასზე ასახული, არც დღეს ვიცი და არც მაშინ ვიცოდი. საინტერესოა, იქნებ 33 წლის შემდეგ ვინმემ იცნოს მისი ახლობელი ან საკუთარი თავი...

თითქოს არაფერი, ჩვეულებრივი სურათია, მაგრამ მგონია, რომ ეს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოა ქართული პრესის ისტორიაში.

9 აპრილი, 2022

პაატა ნაცვლიშვილი

ზელენსკის „მთავარი“ მოკავშირე ანტიქართული ნაცმოძრაობაა!

ზაალ ანჯაფარიძე:

უკრაინას ასეთი შეცდომის უფლება არა აქვს!

„რომელ კონტრაბანდულ დერეფანზეა საუბარი, როცა საქართველოს საზღვარზე, საქართველოს ხელისუფლებისვე თაოსნობით, დგანან ამერიკის და ბრიტანეთის საელჩოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ატაშეები, რათა გააკონტროლონ ეს პროცესი. აქ საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენი დასავლელი პარტნიორების სადაზვერვო სამსახურები და, თუ რაიმე საეჭვოს შენიშნავენ, ამის შესახებ საჯაროდ განაცხადებენ“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსმა ზაალ ანჯაფარიძემ.

— რუსეთისგან შევეჩვიეთ ცრუ ბრალდებებს ლუგარის ლაბორატორიასთან მიმართებით, უკრაინის ხელისუფლება კი ამჯერად კონტრაბანდული დერეფნის გახსნაში გვადანაშაულებს. ბატონო ზაალ, რა მიზანი უნდა ჰქონდეს ზელენსკის გარემოცვას, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრი კულებას, როცა პერმანენტულად გვაბრალებს იმას, თითქოს საქართველო სანქციების გვერდის ავლით ეხმარება რუსეთს? მით უმეტეს, ეს ბრალდებები იმ დახმარების ფონზე გაისმის, რაც საქართველომ გაიღო უკრაინისთვის, აქ მატერიალურ დახმარებას ყველაზე ნაკლებად ვგულისხმობ.

— ამ ყველაფრის გასაღები უნდა ვეძებოთ იმაში, რაც წინასწარ გამოაცხადეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა, რომ 9 აპრილს მასობრივი აქციის მოწყობას აპირებდნენ. ის დემარშები, რაც კეთდებოდა ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოსა და ჩვენი ხელისუფლების წინაალმდეგ უკრაინის ხელისუფლების პირველი პირების მხრიდან (ზელენსკი, პარლამენტის თავმჯდომარე, რადის დეპუტატები), ემსახურებოდა სწორედ იმას, რომ საპროტესტო მუხტის აწევის ინსტრუმენტები მიეცათ „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელსაც საქართველოში თავიანთ მთავარ მოკავშირედ მიიჩნევენ. კიდევ საკითხავია, ისინი საქართველოს ხელისუფლებას მიიჩნევენ თავიანთ პარტნიორად, თუ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელსაც საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს კომუნიკაცია უკრაინის ხელისუფლებასთან? ასეთი ქმედებები, მათი განგრძობადობა, სისტემური ხასიათი, თანაც საჯარო სივრცეში გაკეთებული განცხადებები, რომ ეს გაიგონოს საერთაშორისო თანამეგობრობამ, თუ საქართველოს საზოგადოებამ, ემსახურება იმას, რომ ითამაშონ ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ეროვნულ-პატრიოტულ განწყობებზე. ზოგადი განწყობებით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდა, რომ ბევრმა მოქალაქემ, რომელსაც არ ეპიტნავება „ნაციონალური მოძრაობა“, უკვე დაიჯერა და მიიღო მათ მიერ შემოგდებული ნარატივი. შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ეს ყველაფერი ერთ რამეს ემსახურება, როგორლაც საქართველოში მოხდეს ვითარების შერყევა, დესტაბილიზაციის გამოწვევა, ხელისუფლების ცვლილება ანტიკონსტიტუციური გზით, რადგან სხვანაირად ეს ვერ მოხდება, რომ საქართველოში შეიცვალოს პოლიტიკა, შეიცვალოს საქართველოს დამოკიდებულება უკრაინის კონფლიქტის მიმართ და საქართველოში გაიხსნას ნანატრი მეორე ფრონტი.

გასაგებია, რომ უკრაინას უმძიმესი ომი აქვს რუსეთთან, ისინი საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებენ და შეიძლება გულწრფელად ფიქრობენ, თუ საქართველომ თავისკენ გადაისროლა რუსეთის გარკვეული სამხედრო ძალები, ეს მათ შვებას მისცემს საკუთარ ფრონტზე, მაგრამ არა მგონია, ამან მათ დიდი შვება მოუტანოს, რადგან რუსეთს საქართველოში უკვე ჰყავს ჯარები და ის ჯარებიც საკმარისია იმისთვის, რომ სიტუაცია ვითარება აკონტროლოს.

— შეუძლებელია, რომ ამ გაგანია ომის დროს ზელენსკის გარემოცვას მაინცდამაინც საქართველოსთვის მოეცალა და ეს მათი დამოუკიდებელი განცხადებები ყოფილიყო. ხომ არ ფიქრობთ, რომ მათ უკან „ნაცმოძრაობის“ გარდა, კონკრეტული დასავლელი ლობისტებიც დგანან, რომლებიც „ნაციონალებსა“ და ზელენსკიზე ერთნაირად მუშაობენ?

— კი ბატონო, შემიძლია ვახსენო ევროკავშირის ელჩის — **კარლ ჰარცელის** ბოლოდროინდელი განცხადება, უკრაინის დაზვერვის ინფორმაცია სერიოზულად უნდა იყოს მიღებულიო. ამით ჰარცელი ირიბად დაეთანხმა აბსოლუტურად არაფრით გამყარებულ ბრალდებებს და ისე გამოიყვანა, რომ თურმე საქართველომ უნდა დაუმტკიცოს უკრაინას და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ის კონტრაბანდული გზით არ არღვევს რუსეთის მიმართ დაკისრებულ სასანქციო რეჟიმს. ელჩის მხრიდან ეს არც თუ ისე დიპლომატიური გამონათქვამია. ფაქტობრივად, ეს იგივეა, რაც კულებამ თქვა. კარგი იქნება, თუ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ამაზე რეაგირებას მოახდენს.

— უკრაინის ხელისუფლება არც უნგრეთს წყალობს, ზელენსკიმ უნგრეთს ევროპის რუსული ტოტი“ უწოდა, რომელიც ფეხს ითრევს დაეხმაროს უკრაინას. რეალურად, უნგრეთმა დაგმო რუსეთის შეჭრა, მიიღო უკრაინელი ლტოლვილები, თუმცა უკრაინის მხრიდან გამოთქმული შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო უნგრეთის საგარეო უწყებაში უკრაინის ელჩი დაიბარეს. უკრაინის მხრიდან ასეთივე დამოკიდებულება არ იგრძნობა მოლდოვას მიმართ, რომელიც ანტირუსულ სანქციებს არ შეუერთდა. ეს რით აიხსნება?

— ამას წინათ ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნებული იყო უკრაინის ოფიციოზის განცხადება, რომ ჩვენ მოლდოვაზე არ ვართ ნაწყენი იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა შეერთებოდა ანტირუსულ სანქციებს, რადგან გვესმის მათი გაჭირვებისო. რა გამოდის? მოლდოვაზე არ არიან განაწყენებულნი და საქართველოზე არიან? აქ ვლინდება მათი დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ, ზოგადად, ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა არ მოსწონთ, არამედ მათ არ მოსწონთ საქართველოს ხელისუფლება და მათ მიერ გატარებული პოლიტიკა.

— ისე, უცხოური პოლიტიკა ჰქონიათ უკრაინელ ხელისუფალთ, მათ საქართველოს ხელისუფლების შეცვლა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ის, რომ რუსეთში პუტინის შემცვლელი გამოჩნდეს, რის შემდეგაც მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე ამოისუნთქავდა. სხვათა შორის, პუტინს ზუსტად იმის შიში ჰქონდა, რომ დასავლეთმა ფერადი რევოლუციები მოაწყო საქართველოში, უკრაინაში და შემდეგ მისი ჯერიც დადგებოდა და პუტინსაც ჩაანაცვლებდნენ პროდასავლური ძალები.

— როგორც ანალიტიკოსს, მაქვს ამის განცდა, რადგან საქართველოს წინააღმდეგ ეს განცხადებები თითქმის ერთი თვეა გრძელდება. სწორედ ეს ბადებს ეჭვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს საზღვარზე, საქართველოს ხელისუფლებისვე თაოსნობით დგანან ამერიკის და ბრიტანეთის საელჩოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ატაშეები, რათა გააკონტროლონ ეს პროცესი. აქ საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენი დასავლელი პარტნიორების სადაზვერვო სამსახურები, რომელთაც ყველა საშუალება აქვთ, ეს პროცესი გააკონტროლონ და, თუ რამე საეჭვოს შენიშნავენ, ამის შესახებ საჯაროდ განაცხადონ. პროცესი ძალიან მკაცრი მონიტორინგის ქვეშაა აყვანილი, მართლა პოლიტიკური ხარაკირი უნდა გაიკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ასეთი რამ დაუშვას! თქვენ ხედავთ, „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებული პირები, ექსპერტები, საინფორმაციო საშუალებები, ინტერნეტგამოცემები ყოველდღიურად ავრცელებენ არაფრით გამყარებულ ფეიკინფორმაციებს, საქართველოდან თურმე რაღაც მასალები მიდის, რაც საჭიროა იარაღის დასამზადებლად, ქმნიან ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ ფონს, რომ მოსახლეობა წამოიკიდონ საპროტესტო აქციაზე.

— უკრაინელები ახლა ომის აზარტში არიან და ობიექტურად მსჯელობა არ გამოსდით, შეიძლება, მათ ისიც ჰგონიათ, რომ რუსეთს ომს მოუგებენ. იქნებ ამით აიხსნება, რომ ყველას აკრიტიკებენ? სულ ბოლოს გაეროც გააკრიტიკეს.

— გაეროს მიმართ კრიტიკაც გასაგებია, მათ უნდათ, დასავლეთი და გაეროს წამყვანი სახელმწიფოები დაამუნათონ, რომ მათგან რაც შეიძლება მეტი ფული და დახმარება მიიღონ, მაგრამ ომის აზარტში ყოფნა, ცოტა არ იყოს, ორლესული მახვილია. შენ რომ ომში ხარ, ასჯერ უნდა გათვალო შენი ნაბიჯები, რომ შეცდომა არ დაუშვა. რას ჰქვია ომის აზარტი? რასაც გინდა, იმას წამოაყრანტალებ? არ მესმის უკრაინის ლოგიკა. თუმცა რასაც ისინი აკეთებენ, მე არ ვარ ფსიქოლოგი, ადამიანის გონებაში რა ტრიალებს, რთულია ამის განსაზღვრა, მაგრამ გაუგებარია, ზელენსკი და მისი გარემოცვა რა პარადიგმებით აზროვნებენ ამ დაძაბულ ვითარებაში. შესაძლოა, მათ მართლაც აქვთ ომის აზარტი, მაგრამ მე მაინც მგონია, თუ ომში ხარ, შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. თუ ისინი თვლიან, რომ ამით საქართველოს კუთხეში მიაყენებენ, ეს შეიძლება მათი სტრატეგიაა, მაგრამ მათ ვიღაცამ უნდა უთხრას, რომ ამით ისინი ანტიუკრაინულ განწყობებს იწვევენ...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ბერლუსკონი პუტინის ქმედებით შეძრწუნებულია

იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ „ღრმად იმედგაცრუებული და დამწუხრებულია“ უკრაინაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ქმედებებით.

ხელისუფლებაში ყოფნისას, ბერლუსკონის ახლო ურთიერთობა ჰქონდა პუტინთან და ერთხელ დასასვენებლად სარდინიაში, თავის ვილაშიც კი უმასპინძლა.

„მე მას ვიცნობდი დაახლოებით 20 წლის წინ და მას ყოველთვის დემოკრატად და მშვიდობისმოყვარე ადამიანად

ვთვლიდი“, — თქვა 85 წლის მილიარდერმა რომში მისი კონსერვატიული პარტიისForca Italia-ს ყრილობაზე გამოსვლისას. ბერლუსკონი, რომელიც 1994 წლიდან 2011 წლამდე სამჯერ იყო იტალიის მთავრობის მეთაური, მანამდე პუტინის საჯარო კრიტიკისგან თავს იკავებდა.

„ბუჩასა და სხვა ადგილებში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის, რეალური ომის დანაშაულების წინაშე მყოფი რუსეთი ვერ უარყოფს თავის პასუხისმგებლობას“, — თქვა ბერლუსკონიმ.

გასაჭირში მყოფი ქვეყანა გთხოვს, რომ ჩახვიდე, მაგრამ!..

დღე არ გავა, რომ იმავე ქვეყანამ, შეურაცხყოფა არ მოგაყენოს...

უკრაინის რადას თავმჯდომარე ქართველ კოლეგას ქალაქ ბუჩაში ეპატიჟება. ამის შესახებ საქართველოში უკრაინის დროებითმა რწმუნებულმა, **ანდრეი კასიანოვმა** განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო მიწვევა თავად ჩავიდეს უკრაინის ქალაქ ბუჩაში და საკუთარი თვალით ნახოს ომის დანაშაულები.

დღის ბოლოს კი, **შალვა პაპუაშვილმა** სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა და დაადასტურა კოლეგის მოწვევა. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „საკითხების განუმარტებლობის" ფონზე ოფიციალური მოწვევა არასათანადოდ ჩანს.

უკრაინაში „დაპატიჟება" საკანონმდებლო ორგანოშიც შეაფასეს. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ საქართველოს პარლამენტში ჩასვლას პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ ვიდრე უკრაინა საქართველოს მიმართ ბრალდებებს არ დაამტკიცებს, იქამდე უკრაინაში ვიზიტზე საუბარი არ უნდა იყოს.

„სანამ უკრაინის მხარეს მათი უშიშროების ბინძურ ბრალდებებზე არ ექნება არგუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნება ბოდიში! ვფიქრობ, ასეთ საკითხებზე საუბარი არ უნდა იყოს, თუმცა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მხარდაჭერას საქართველო აგრძელებს. მე მესმის მათი მძიმე მდგომარეობის, მაგრამ არსებობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ წესებს მოითხოვს", — განაცხადა უმრავლესობის წარმომადგენელმა **დიმიტრი ხუნდაძემ**.

„მოწვევა, რომელიც ნოტით არის გამოგზავნილი, რასაკვირველია, მოწვევას არ ჰგავს", — ასე აფასებს უმრავლესობის წევრი **გია ვოლსკი** უკრაინის მოწვევას და დასძენს: **„უკრაინის ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას პოლიტიკოსთა დიდი რაოდენობა ითხოვს, ვინც არ შეუერთდა რეზოლუციას, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში რუსეთის უფლებამოსილებას აჩერებს. ასევე ქვეყნები არ შეუერთდნენ განაცხადს ტრიბუნალზე, უკრაინაში რუსეთის ქმედებების შესაფასებლად და არც ერთი ამ ქვეყნიდან არ მომხდარა ელჩების გაწვევა. ასეთი დამოკიდებულებების პირობებში, ეს არ შეიძლება მოწვევად ჩაითვალოს — ეს არის არადიპლომატიური, დაპატიჟების საკმაოდ უხეში ფორმა, რომელიც ორმხრივ ურთიერთობებს არ ეკადრება, მით უფრო საქართველოს, რომელმაც პოლიტიკურ ასპარეზზე საკმაოდ სერიოზული, მძლავრი ნაბიჯები გადადგა და თავად ძლიერ დაზიანებულმა და საფრთხის ქვეშ მყოფმა ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რათა უკრაინას პოლიტიკურ მხარდაჭერა ჰქონოდა".**

მმართველი გუნდის მოსაზრებას იზიარებენ ანალიტიკოსებიც. მათი თქმით, ვიდრე უკრაინის მხრიდან დაუსაბუთებელი ბრალდებები ისმის, იქამდე უკრაინაში ოფიციალურ ვიზიტები არ უნდა განხორციელდეს.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ შესაძლოა, უკრაინის ხელისუფლების წარმოამდგენლები შალვა პაპუაშვილს კეთილი მიზნებისთვის არა, მაგრამ საჩხუბრად ეპატიჟებოდნენ.

„გასაჭირში მყოფი ქვეყანა გთხოვს, რომ ჩახვიდე, მაგრამ მეორე მხრივ, იგივე ქვეყანა, დღე არ გავა, რომ შეურაცხყოფა არ მოგაყენოს. ამიტომ შალვა პაპუაშვილი რთული არჩევანის წინაშე დგას. ალბათ, უკეთესი გამოსავალი იქნება, პაპუაშვილმა უკრაინის მხარეს მოსთხოვოს ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრებების (საქართველოდან-რუსეთში კანონდარღვევით საქონლის შეტანის შესახებ) დამადასტურებელი დოკუმენტები. ამის შემდეგ, როგორ სახეს მიიღებს ეს დისკუსია, შეიძლება მსჯელობა კეთილგანწყობის ფონზე პატიჟებს უკრაინელი კოლეგა პაპუაშვილს, თუ აგრესიული განწყობის ფონზე. უკრაინის მხრიდან აგრესიის ფონზე, დიდი შანსია, რომ ეს აგრესიული დაპატიჟება იყოს და საჩხუბრად პატიჟებდეს. ამიტომ, სადავო საკითხები სჯობს გაირკვეს და კონკრეტული ადამიანები ერთმანეთს შემდეგ შეხვდნენ. ისეთი შეხვედრა შეიძლება არაფრის მომცემი იყოს და, როდესაც ადამიანები ასეთ დაძაბულ ვითარებაში ერთმანეთს ხვდებიან, შეიძლება ბევრი რამ უტაქტო ნათქვამი იყოს, როგორც უკრაინულმა მხარემ უკვე არაერთხელ თქვა", — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ**.

ანალიტიკოს **ირაკლი ლატარიას** თქმით, ის შალვა პაპუაშვილის ადგილას უკრაინაში არ წავიდოდა.

„კრაინა რასაც კადრულობს, მიუღებელია. მათი პრეზიდენტი გამოდის და ევროპელ ელჩებს ეხვეწება უკან დაბრუნდითო, მაშინ, როდესაც საქართველოს საელჩოს უკრაინა ერთი დღეც არ დაუტოვებია და ამ ქვეყნის მიმართ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ცილისწამებლურ განცხადებებს ავრცელებენ. ჩვენ ვართ ის სახელმწიფო, რომელიც ევროპაში ძალიან მალე შევა და დარწმუნებული ვარ, უკრაინას საკუთარ ქმედებაზე მკაფიო პასუხის გაცემა მოუწევს. მათ აქვთ ძალიან დიდი პრობლემა, ომში არიან და ჩვენ ამ ომში 90-იან წლებიდან ვართ. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ უკრაინას მხარი დავუჭიროთ, მაშინ, როდესაც რუსი ჯარისკაცები 30 კილომეტრში დგანან, მაგრამ მაინც ვრისკავთ და რუსების წინააღმდეგ განცხადებებს ვაკეთებთ. ამ ყველაფრის შემდეგ, უკრაინა, რომელიც რუსეთიდან ტრანზიტულ გაზს დღესაც ატარებს და ყოველდღიურად რუსეთთან მოლაპარაკება სურს, საქართველოდან გაქცეული კრიმინალების გამო, ჩვენს ქვეყანას ებრძვის. ეს ყველაფერი ძალიან მალე შეფასდება და საერთაშორისო ორგანიზაციები უკრაინას ამაზე მკაფიო პასუხს მოსთხოვენ. დარწმუნებული ვარ, უკრაინა თავის ქმედებაზე მალე ბოდიშს მოიხდის. რაც შეეხება შალვა პაპუაშვილის წასვლა-არწასვლას, მე რომ ვიყო პარლამენტის თავმჯდომარე, ვიტყოდი: „ვიდრე ბრალდებაზე ბოდიშს არ მოიხდით, იქამდე თქვენთან ჩამომსვლელი არ ვარ". სავარაუდოდ, შალვა პაპუაშვილიც ასე მოიქცევა".

ქეთი გიორგაძე

„ლელო" ომს აქეზებს!

პუტინს სულაც არ აინტერესებს, ხაზარაძე რა რეზოლუციას შეიტანს პარლამენტში, ეს იმისთვის კეთდება, რომ გაალიზიანონ და თავზე დაგვამხონ ქვეყანა!..

ოპოზიცია რეზოლუციებს რეზოლუციებზე აცხობს. იმ დროს, როდესაც ხელისუფლება უკრაინის მხარდასაჭერად საერთაშორისო ტრიბუნალს მიმართავს და რუსეთის ქმედების გამოძიებას ითხოვს, „ლელო" რეზოლუციას ამზადებს უკრაინაში სამხედრო და კაცობრიობის წინაშე მიმართული დანაშაულის თაობაზე.

ოპოზიციაში იმთავითვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „ქართული ოცნება" ამ რეზოლუციას დაბლოკავდა, მაგრამ მაინც შემოაგდეს ეს ინიციატივა, რათა უკრაინა-საქართველოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბონ. რა საჭიროა იდენტური დოკუმენტების ფრიალი, ეს ოპოზიციას არ აინტერესებს. ხელისუფლებაში „ლელოს" რეზოლუცია წმინდა წყლის პოპულიზმად უკვე შეფასდა. მმართველი გუნდი „ნაცმოძრაობის" და მისი პარტნიორების (ამ შემთხვევაში, „ლელოს") არც ერთ საგარეო თაოსნობას მხარს არ დაუჭერს.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** მიიჩნევს, რომ სანამ საერთაშორისო ტრიბუნალი დადებს დასკვნას, „ლელომ" გადაწყვიტა, თავად გააკეთოს დასკვნის ინიცირება, რაც პოპულისტური ნაბიჯია.

„ევროპული საქართველოს" წევრი **აკაკი ბობოხიძე** „ლელოს" მიერ პარლამენტში რეზოლუციის დოკუმენტის დარეგისტრირებას ეწინააღმდეგება. მისი თქმით, „ლელო" უნდა მორჩეს ამ ვითომ პარლამენტარობანას თამაშს და თავისი თავის „გაპრავების" მცდელობას, რადგან ეს უკვე გადადის პოლიტიკურ მავნებლობაში. აკაკი ბობოხიძის აზრით, რეზოლუცია კი არ არის დღეს რუსეთისთვის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მთავარი, არამედ მთავარია, რეალურ მოქმედებაში გაატარებენ თუ არა პრორუსულ მიზანს! ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია ბევრს არაფერს არ გადაწყვეტს, გარდა იმისა, რომ მორიგ წითელ ნაჭერს აუფრიალებს რუსეთს. ჩვენ შეგვიძლია მივუერთდეთ იმ საერთაშორისო რეზოლუციებს, რომლებიც მზადდება რუსეთის და უშუალოდ პუტინის წინააღმდეგ.

„ჩვენ რომ მოწყვლად მდგომარეობაში არ ვიყოთ, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, ალბათ, შეგვეძლო ხელფეხგახსნილი ვყოფილიყავით ასეთ საკითხებში, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ომის აზარტში მარტო უკრაინა კი არ არის შესული, არამედ რუსეთიც ომის აზარტშია და მას შეუძლია საქართველოს მიმართ დამსჯელი ღონისძიებები გამოიყენოს, ასეთი გამაღიზიანებელი პოლიტიკა ჩვენი მოქალაქეების ინტერესებში არ უნდა შედიოდეს", — გვითხრა ზაალ ანჯაფარიძემ. „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** მიიჩნევს, რომ, ცხადია, სხვა ქვეყანაზე თავდასხმა, ომის გამოცხადება, ტერიტორიების მიტაცება დანაშაულია და ამ ერთმნიშვნელოვან დანაშაულს არც რეზოლუცია სჭირდება, არც არაფერი. უბრალოდ, რეზოლუცია იმიტომ არ სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რომ ჩვენ არ გვჭირდება ომის პროვოცირება.

„ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა აცხადებს, ჯერ ჩემი მოქალაქეების ინტერესებია მთავარი და შემდეგ ყველა სხვა ქვეყნის ინტერესები. წითელი ნაჭერი რატომ უნდა უქნიო ხარს, როდესაც იცი, რომ შეიძლება იმ რქებზე წამოგაგოს და გაგხლიჩოს. ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენ თუ დაგვემუქრება საფრთხე, როგორ უნდა იმოქმედოს ჩვენმა ხელისუფლებამ, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ის, რომ სადღაც ომი მიმდინარეობს და შენ უქნიო ხარს წითელი იმიტომ, რომ შენთანაც მოხდეს ეს ომი, ეს მიუღებელია. ამიტომ არ არის ეს რეზოლუცია საქართველოს ინტერესებში, თორემ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პუტინს არ ჩაუდენია ის, რაზედაც შეიძლება იმ რეზოლუციაშია საუბარი. რეზოლუცია არ უნდა მივიღოთ, რადგან გავეშებული რუსეთი, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს, არ გამოვიწვიოთ, პირიქით, უნდა ვეცადოთ, ურთულესი ვითარებიდან ისე გამოვიდეთ, ჩვენი ქვეყანა არ დავაზიანოთ. ისედაც 22% ოკუპირებული გვაქვს და კიდევ რაღაც უბედურება არ მოხდეს", — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ. მისივე თქმით, ვინც ამ პოლიტიკას მხარს არ უჭერს და ომს აქეზებს, ის საქართველოს მტერია. პუტინს სულაც არ აინტერესებს, ხაზარაძე რა რეზოლუციას შეიტანს პარლამენტში, ეს იმისთვის კეთდება, რომ გაალიზიანონ და თავზე დაგვამხონ ქვეყანა, ჩამოშლილ-ჩამოქცეული საქართველო უნდათ იხილონ!

მანანა ნოზაძე

მაინც, რატომ იბრძვიან ასეთი თავგანწირვით ივან ფიოდოროვი და ფიოდორ ივანოვი?!



ასე არ არის, ბატონო დავით?!

28 მარტის „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დავით მაღრაძის წერილი „ორი რუსეთი არ არსებობს“. წერილმა გული დამწყვიტა. შემეძლო ცივი წყალი დამეღია და ეს პასუხი არ დამეწერა, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემს პატივისცემას პოეტ დავით მაღრაძის მიმართ მნიშვნელოვანი ჩრდილი მიადგებოდა.

ბატონი დავითი წერს: „ლენინის ცხედარი, როგორც რუსეთის წყევლა, დღემდე დევს მოსკოვის მთავარ მოედანზე“.

როგორც ცნობილია, ლენინის მავზოლეუმის დახურვაზე ჩატარდა გამოკითხვა და რუსებმა მავზოლეუმის არსებობას დაუჭირეს მხარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველმა პოეტმა რუსი ხალხის არჩევნის საწინააღმდეგო თავისი აზრის საქვეყნოდ გამოცხადებაზე თავი უნდა შეიკავოს.

დღევანდელი ქართველი პოეტის პლატფორმიდან აფასებს ბატონი დავითი სტალინსაც: „სტალინმა ნატაშა როსტოვასა და ევგენი ონეგინის რუსეთი ჩაიბარა და პავლიკ მოროზოვის რუსეთი დატოვა“.

თუ ნატაშა როსტოვასა და ევგენი ონეგინის რუსეთი განსხვავდება პავლიკ მოროზოვის რუსეთისაგან, ე.ი. არსებობდა და არსებობს ორი რუსეთი, წერილის სათაური კი სრულიად სხვას გვეუბნება!!!

უნდა ითქვას, რომ პავლიკ მოროზოვის სახელს ხშირად ახსენებენ პოლიტიკოსები და ცნობადი სახეები და არაფერს ამბობენ კაც და არზაყან ზვამბაიების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაც პავლიკ მოროზოვის ამბისგან განსხვავებით ტრაგიკულად დასრულდა.

უნდა დავუბრუნდეთ „ორი რუსეთის “ თემას. ბატონი დავითი წერს: „მუდმივად ლაპარაკობენ ორი რუსეთის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ერთი რუსეთი არსებობს, სადაც თავს იყრიან დოსტოევსკი, შოსტაკოვიჩიც და შოიგუც. არც საქართველოა შვიდი, ისიც ერთია და ვაჟა-ფშაველა, ნიკო ფიროსმანი და სააკაშვილ-კეზერაშვილიც იქ იყრიან თავს.

აუჰ!... ეს ეკადრება ბატონ დავითს? ვაჟა ფშაველა და სააკაშვილ-კეზერაშვილი ერთად როგორ მოიყრიან თავს?

აგერ ახლა არ იყო, რუსეთის მოქალაქე გავრილოვი რომ გააგდეს საქართველოდან? მათ არად ჩააგდეს ვაჟა-ფშაველას შეგონება, ქართველი კაცის ზნეობა – „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“...

როდესაც ქვეყნის სათავეში მოდიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ყიდიან, ხოლო შემოსული თანხის 4-6 პროცენტს თვითონ იჯიბებენ, როგორ არ არის ეს ხალხი სამშობლოს გამყიდველი, სისხლგაყიდული?

* * *

კიდევ ერთი პრობლემა:

საქართველოს კონსტიტუციაში ეწერა: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი არის საქართველოს პრეზიდენტი“.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა სულ არ უდარდია საქართველოს პრეზიდენტს. ის „ინტერმექისესთან“ და უცხოელ მასაჟისტთან ნებივრობდა და არც პარლამენტს მოუთხოვია მისთვის პასუხი. რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს 10-ათასიანმა ჯარმა არ იომა, იომეს მხოლოდ ერთეულებმა. ის ფაქტი არ არის ანგარიშგასაწევი, რომ დღეს ხელმეორედ არ მოითხოვონ საქართველოს ჩაბმა ომში რუსეთის წინააღმდეგ?

მიხეილ სააკაშვილი და მისი მიმდევრები უნდა გასამართლდენ სამშობლოს ღალატისთვის, ისე როგორც მათ თანამოაზრეს პროხორენკოს წაუყენეს ბრალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას კვლავ გაახვევენ სამოქალაქო ომში. ამათი და ვაჟა-ფშაველას ერთად დგომა წარმოუდგენელია. ბატონი დავით მაღრაძე წერს: რუსეთი უკრაინაში ამერიკასა და დასავლეთს ეომება“. დიახ, ასეთი მარტივი წინადადებით მიგვანიშნა ბატონმა დავითმა ამ საშინელი ომის მიზეზი. თუ რატომ მოვიდა ამერიკა უკრაინის ტერიტორიაზე და რატომ იბრძვის ასეთი თავგანწირვით უკრაინელი ივან ფიოდოროვი და ფიოდორ ივანოვი, მკითხველი უნდა მიხვდეს.

ნუგზარ კობახიძე

ივდით კუხიანიძე:

როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..

ფეისბუქ-მომხმარებელი **ივდით კუხიანიძე** სოციალურ ქსელში წერს:

„სულ მიკვირდა, რატომ ვერ ხვდებიან ადამიანები ქვეტექსტებს, ირიბ ნათქვამებს, ირონიას, გროტესკს, იუმორს და ახლა ვხვდები, რომ ქვეტექსტებსა და ირიბ ნათქვამებს კი არა, ღია ტექსტებს ვერ იგებს დიდი უმრავლესობა, დაქუცმაცებით ნათქვამსაც კი...

რისი ბრალია ეს? პასუხი ერთია: განათლების სისტემის ახალ რელსებზე გადაყვანის, ანუ ნგრევის!

მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩვენი სკოლის მე-7 კლასელ მოწაფეს უფრო კარგი განათლება ჰქონდა, ვიდრე, მაგალითად, აშშ-ს, ან კანადის „ჰაისქულის“ კი არა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს!

სწორედ 95-97 წლებში მე მყავდნენ ამერიკელი და კანადელი სტუდენტები, ასაკით ჩემზე უფროსები და კოლეჯდამთავრებულები, რომლებსაც ქართულ ენას ვასწავლიდი და რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ ინგლისური ენის გრამატიკა, არ იცოდნენ, ვინ იყო ჰომეროსი, შექსპირი, ბაირონი, ტოლსტოი, ჩეხოვ ...

შეიძლება ითქვას, რომ მათ საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა მსოფლიო ლიტერატურაზე!

მაგრამ ამბიცია, რომ ისინი ქართველებზე უპირატესნი არიან ყველა ასპექტში, იცოცხლე — ჰქონდათ!

ამიტომ თავისთავად გამიჩნდა სურვილი, რომ შემედგინა ისეთი სათარგმნელი ტექსტები, რომლებშიც ისტორიულ- პატრიოტული თემატიკა იქნებოდა, რათა უკეთ გაეცნოთ საქართველო, მისი მდიდარი კულტურა, ისტორია და, რა შევატყე? — გაღიზიანდნენ, იგრძნეს, რომ არ ვაღიარებდი მათ უპირატესობას !

რამ გამახსენა ეს ამბავი და იმან, რომ მალევე ჩემი ნასწავლები ქართულით ერთ — ერთმა მათგანმა ქართველი მოწაფეების მეცადინეობა დაიწყო და საათში 20 დოლარს იღებდა მაშინ, როცა მე 3 დოლარს მიხდიდა საათ-ნახევარში! ხომ თვალსაჩინო მოდელია ქართულ-ამერიკული ურთიერთობის საჩვენებლად? ის დამავიწყდა მეთქვა, რომ იმავდროულად უზომოდ მადლობელი უნდა ვყოფილიყავი იმ 3 დოლარის გამო! საბოლოო ჯამში კი იმის თქმა მინდა, რომ ამერიკელები და ახლა უკვე იქ მცხოვრები ქართველები, რომლებმაც მოქალაქეობა მიიღეს და გაამერიკელდნენ, იქაური პრიზმიდან აფასებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს!

უცხო ნიადაგზე გადარგულებს აშკარად უჩნდებათ უცხო მენტალობა, უცხოვდებიან თავიანთ სამშობლოსა და მოყვასთან, ცივდებიან, გული და სული უკნინდებათ კარგავენ პატრიოტულ სულისკვეთებას (არც ადრე ჰქონდათ, ალბათ!), აღარ მოსწონთ ეროვნული ტრადიციები და ქედმაღლურად გადმოსცქერიან თავიანთ ყოფილ სამშობლოს ზესახელმწიფოს ოლიმპოდან...

მაგრამ ეს იცოდნენ, რომ ყოფილი სამშობლი არ არსებობს, რომ, თუ გაყოფილდა, ეს მათ გააყოფილეს!

სამშობლო ერთია დედასავით და ისეთივე გაფრთხილება უნდა, როგორც მშობელს! ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ასეთმა ქართველებმა ესეც დაივიწყეს“...

გადაყარეთ იარაღი, დაე, დაიწყოს სააღდგომო ზავი...



რომის პაპი ფრანცისკე რუსეთსა და უკრაინას სააღდგომოდ დაზავებისკენ მოუწოდებს. აღნიშნულის შესახებ რომის პაპმა წინასააღდგომო დღესასწაულის, პალმის კვირისადმი მიძღვნილ მიმართვაში განაცხადა.

„გადაყარეთ იარაღი, დაე, დაიწყოს სააღდგომო ზავი, მაგრამ არა იმისთვის, რომ ხელახლა დატენოთ იარაღი და ისევ დაიწყოთ ბრძოლა, არა. ზავი, რომლითაც მშვიდობამდე ნამდვილი მოლაპარაკებებით მივალთ და ასევე, მზად იქნებით გარკვეული მსხვერპლისთვის ხალხის საკეთილდღეოდ“, — განაცხადა რომის პაპმა. რომის პაპმა არაერთხელ გააკეთა მოწოდება ომის დასრულებისკენ. კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა უკრაინაში ჩასვლის მზადყოფნაც გამოთქვა.

კახა კალაძე: ნიკა გვარამიას კიდევ ერთი დეზინფორმაცია, ტყუილი, ცილისწამება!

დეზინფორმაცია, ტყუილი, ცილისწამება — ამ სიტყვების სინონიმად, სამწუხაროდ, დაარსების დღიდან იქცა „მთავარი არხი“ და მისი სულისჩამდგმელი ნიკა გვარამია. დასწამე ცილი, შეთხზე ამბად და სიუჟეტად - ტყუილის იარაღად გამოყენება და ამ ეთერიდან ათასგვარი სიბინძურის მოსმენა დღეს აღარავის უკვირს..., — ამის შესახებ თბილისის მერი კახა კალაძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„მორიგი ასეთი „შედევრი“ ვიხილეთ გუშინ ნიკა გვარამიას გადაცემაში, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, ე.წ. ქოლ-ცენტრების თაღლითური სქემის 4 მთავარი „კრიშა“ გაშიფრა. ფანტაზიის რეალობად ქცევისთვის ანონიმი რესპონდენტი შეარჩია და მაყურებელს ამცნო, რომ ერთ-ერთი კიბერთაღლითური ოფისი, რომელიც ვითომდა კალაძეს ეკუთვნის, ისევ განაგრძობს მუშაობას. აი ასე, მთავარი არხის პროკურორორ ნიკა გვარამიას (ავტორი ფილმისა „ნოემბრიდან ნოემბრამდე“), რომლის დროსაც პროკურატურა ადამიანებს ბრალს ისე სდებდა, მტკიცებულებები საერთოდ არ სჭირდებოდა, არც ტელეეთერით დასჭირვებია მტკიცებულებები მორიგი „სკანდალის“ ასაგორებლად.

მოდი, ვნახოთ „სკანდალური“ ინტერვიუს დასაწყისი:



გვარამია: ლილუაშვილი, მამაცაშვილი, კალაძე, ფარცხალაძე — ეს არის 4 მთავარი „კრიშა“ ამ სფეროში?

ანონიმი რესპონდენტი: დიახ!

გვარამია: და ბიძინა ივანიშვილი ყველასთან საქმის კურსშია და ანაწილებს ამ ყველაფერს.

ანონიმი: დიახ!

ამის შემდეგ, გადაცემაში მიდის გარჩევა, ვის რას უტოვებენ კიბეროფისებიდან, ვის რა წილი აქვს და ასე შემდეგ... როგორც ჩანს, ანონიმი რესპონდენტი, იმდენად ღრმად და საფუძვლიანად ფლობს ინფორმაციებს, წილების გარდა, ისიც ზუსტად იცის, ვის რა დროს და რა საკითხებზე ესაუბრება ბიძინა ივანიშვილი.

შინაარსს უკვე გავეცანით, რაც შეეხება ფორმას, ინტერვიუ ჩაბნელებულ ფონზე ემოციის გასამძაფრებლად იყო საჭირო თუ ეს ერთგვარი მინიშნებაა შავ კატაზე, რომელსაც ეძებ ბნელ ოთახში, სადაც ის საერთოდ არ არის, ძნელი სათქმელია. როდესაც ტყუილები სტატისტიკად იქცევა, იქ ლოგიკა ზედმეტია. საინტრესოა, კიდევ რა მხატვრულ ხერხს გამოიყენებს გვარამია საკუთარი სტატისტიკის შესაფუთად“, — წერს კალაძე.

არ მეგულება ადამიანი, რომელიც თავისი გვარით არ ამაყობდეს, სიყვარულით და პატივისცემით არ წარმოსთქვამდეს წინაპართა დიდი რუდუნებით დღემდე მოტანილ საოცნებო გვარს. ფაქტია, წინაპრებმა დაგვანათლეს გვარისადმი და გვარიშვილობისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება.

გვარისადმი სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გვიათკეცდება, როცა ხედავ შენს გარშემო მრავალ სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ სახლიკაცს.

თითოეულ ჭეშმარიტ ქართველს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს თავისი გვარის ისტორია, სიამაყით სწავლობდეს და შთამომავლობას გადასცემდეს წინაპართა განვლილ ცხოვრებას.

დღეს გვინდა გაგაცნოთ სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე ბატონი **იური (ირაკლი) ბრეგვაძე,** რომელიც მოგვითხრობს ამ მეტად ეროვნული და საამაყო საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე.

ქართული გვარების მამულიშვილური მისია



— ბატონო ირაკლი, გთხოვთ გაგვაცნოთ საგვარეულო დარბაზის ქრონოლოგია , როდიდან იღებს სათავეს ერისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო მოძრაობა?

— გვარების საგვარეულო მოძრაობა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ 1996 წელს დაფუძნდა საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი „გვარიშვილობა“. ხოლო 2004 წელს დარეგისტრირდა სრულიად საქართველოს საგვარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ %თავმჯდომარე აკადემიკოსი ლევან ფრუიძე). 2009 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ენათმეცნიერი, პროფესორი - ავთანდილ არაბული, საპატიო თავმჯდომარედ — აკადემიკოსი ლევან ფრუიძე. სწორედ ამ ადამიანების თაოსნობით გაიმართა ისტორიული შეხვედრა საქართველოს კათალიკოს პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან 2011 წლის 3 ივლისს. სწორედაც რომ პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით და კურთხევით დაფუძნდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი.

მას შემდეგ 10 წელზე მეტი გავიდა და სერიოზული მუშაობა ჩატარდა გვარების დალოცვის და საგვარეულო კავშირების შექმნის თვალსაზრისით.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2016-2018 წლებში სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ ჩატარებულა გვარის წინამძღოლთა არცერთი შეკრება, რამაც გამოიწვია დარბაზის დროებითი კრიზისი. მხოლოდ 2018 წლის 10 ოქტომბერს დარბაზმა მოიპოვა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა და განაახლა საქმიანობა.

სასიხარულოა ისიც, რომ დარბაზი დაარსების პირველი დღიდან დღემდე ფაქტობრივად საქართველოს საპატრიარქოსთან მჭიდრო ურთიერთკავშირში საქმიანობს და მომავალშიც ასეთივე დამოკიდებულებით ვაპირებთ მუშაობას.

— საგვარეულო დარბაზის ახალი შემადგენლობა როდიდან შეუდგა აქტიურ მუშაობას?

— კრიზისის დაძლევის მიზნით 2018 წელს დარბაზის რჩეულთა საბჭოს 21 წევრი შეიკრიბა და არჩეული იქნა დარბაზის თავმჯდომარე და სამდივნო, შემუშავდა წესდება, საზოგადოება 10 ოქტომბერს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა პროფესორი ბესიკ კოჭლამაზაშვილი,მე მის თანათავმჯდომარედ ამირჩიეს.

დარბაზის ახლადარჩეულმა შემადგენლობამ აქტიურად დაიწყო მუშაობა, აღდგა გვარების წინამძღოლთა ყოველთვიური შეხვედრები, დავიწყეთ ორგანიზაციის იურიდიული და საინფორმაციო უზრუნველყოფა, შევიმუშავეთ ახალი წესდება. გაიხსნა ფინანსური ანგარიში და დამტკიცდა საზოგადოების ლოგო, დაიხვეწა და დაზუსტდა პატრიარქის მიერ დალოცვილი 545-მდე გვარის მეთაურთა საკონტაქტო მონაცემები, დავამზადეთ პირადობის წიგნაკები,სოციალურ ქსელში შეიქმნა საინფორმაციო გვერდი და საიტი, ჩამოყალიბდა საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით რეგიონალური პირველადი ორგანიზაციები.

2019 წლის 12 ოქტომბერს დარბაზის თაოსნობით სამების ტაძრის ცენტრალურ ფოიეში დაიდგა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილი მეორის სასაჩუქრე მონუმენტი, რომელიც ირანელმა ბიზნესმენმა მაჰდი შაჰგალდიმ დაამზადა, სხვათაშორის ეს პიროვნება ჩემი ბიზნესპარტნიორია.

დავიწყეთ ზრუნვა საგვარეულო კავშირების მუშაობის გასააქტიურებლად, კონტაქტების დასამყარებლად, გვარების ისტორიის შესასწავლად და წიგნების გამოსაცემად.

გაიმართა კონსულტაციები გვარების ისტორიის კვლევებისათვის. სრულყოფილი გახდა გვარების ისტორიული და გენეტიკური გენიოლოგიის სამ კომპონენტიანი კვლევა, რომელიც გულისხმობს - გვარის ეტიმოლოგიას, საარქივო მასალების მოძიებას და გენეტიკური პროფილის კვლევას, ზემოთ ნათქვამს დაემატა გვარის განსახლების, არეალის და რაოდენობის დადგენის შესწავლა.

სასიხარულოა აღინიშნოს ისიც, რომ 100-ზე მეტმა გვარის წინამძღოლმა წარმატებით გაართვა თავი მშობლიური გვარის ისტორიის და საარქივო მასალების შეგროვების საქმეს. იმედს ვიტოვებთ სხვა გვარებიც იზრუნებენ საგვარეულო წიგნების გამოსაცემად.

სამწუხაროდ, განვლილ ორ წელიწადში მუშაობის გააქტიურების მიუხედავად, ხელი შეგვიშალა პანდემიამ და საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ ბესიკ კოჭლამაზაშვილის უეცრმა გარდაცვალებამ.

დღეს საგვარეულო მოძრაობა ახალი გამოწვევების წინაშეა. მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს დედა-ეკლესიასთან და საპატრიარქოსთან. შემუშავებული გვაქვს მეტად საინტერესო პროგრამა, რომელიც მთლიანად მოიცავს სრულიად საქართველოს და ყოველმხრივ ვეცდებით გავააქტიუროთ საგვარეულო მოძრობა, შეუსწავლელი არ დაგვრჩება არც ერთი რეგიონი, რაიონი და სოფელი, არც ერთი ქართული გვარის ისტორია, ამ მიზნით სათანამშრომლოდ მოვიწვიეთ ცნობილი ისტორიკოსები, ეთნოლოგები, დემოგრაფები.

— რა ნაკლოვანებას ამჩნევთ საგვარეულო დარბაზის საქმიანობაში და რას ურჩევდით გვარების მეთაურებს სამომავლოდ მუშაობის გასააქტიურებლად?

— სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლების მუშაობის გააქტიურებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ქართული გვარების გამთლიანება-შეკავშირება, ახალგაზრდების ინიციატივის გამოჩენა და მათი აქტიურად ჩაბმა საგვარეულო მოძრაობაში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს საგვარეულო დარბაზი და გვარის წინამძღოლები ფაქტიურად ენთუზიაზმით, ყოველგვარი მატერიალური და ფინანსური დაინტერესების გარეშე მუშაობენ, მიუხედავად ამისა ისინი უდიდეს მამულიშვილურ საქმეს აკეთებენ. სამწუხაროა, რომ, პატრიარქის მიერ დალოცვილი 1000 გვარიდან მხოლოდ 115 გვარის წინამძღოლმა გამოიჩინა ინიციატივა საკუთარი გვარის ისტორიის შესასწავლად. ასეთი ინერტულობა სიკეთეს არ მოგვიტანს. დღეს ისე როგორც არასდროს გვესაჭიროება მუშაობის გააქტიურება, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ერის უდიდესი საუნჯის — ქართული გვარებში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტაში. მიუხედავად იმისა რომ საგვარეულო წესდება ითვალისწინებს სიმბოლური საწევროს გადახდას (ოჯახზე თვეში 1 ლარი), ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ფინანსების გარეშე კი მერწმუნეთ მარტივ საკითხსაც ვერ გადავწყვეტთ.

საგვარეულო წესდებაში კონკრეტულადაა მითითებული, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გვარის სრულყოფილი საქმიანობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება თითოეულ გვარში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას, თუ თითოეული გვარის წინამძღოლები და მათივე დარბაზის წევრები მიზანდასახულად იზრუნებენ ფინანსების მოზიდვისათვის, მაშინ იოლად გადაწყდება მრავალი საკითხი, თუნდაც ისეთი საკითხებისა,როგორიცაა გვარის სახელზე ეკლესიის აშენება ან არსებულის რესტავრაცია, წინაპართა საფლავების მოვლა-პატრონობა, ნიჭიერი გვარიშვილების სწავლის დაფინანსება, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება, გვარში გაბედნიერებულ წყვილების და ახალშობილთა პატივგება, სამხედრო სავალდებულო სამსახურში ახალწვეულთა საზეიმოდ გაცილება, გვარის ისტორიის სამაგიდო წიგნის გამოცემა. დღეს სოფლის აღორძინება ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, საგვარეულო დარბაზს აქაც შეუძლია წვლილის შეტანა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სოციალურად დაუცველ გვარისშვილს შევუძინოთ პირუტყვი, მოვუხნათ სავარგული, დავეხმაროთ საკუთარი ბინის შეკეთებაში და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. დარწმუნებული ვარ თითქმის ყველა გვარშია შეძლებული გვარისშვილი და ბიზნესმენი. მათი მოვალეობაა ქველმოქმედება გამოიჩინონ სახლიკაცების პრობლემათა გადაწყვეტაში, ღირსეული წვლილი შეიტანონ ერის უდიდესი საუნჯის — ქართული გვარების ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში.

თანამედროვე ეტაპზე სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზს სამართლიანად მიაჩნია, რომ გვარების პრობლემათა გადაწყვეტაში მარტო ცალკეული ენთუზიასტები კი არ უნდა აქტიურობდნენ, არამედ გვარის თითოეული წევრი მოვალეა ზრუნავდეს თითოეულ სახლიკაცზე, ოჯახსა და გვარისშვილზე, რათა ქართველთა ფუძე, მისი ადგილის დედა, სოფელი და ქალაქი არ მოიშალოს.

ვინც ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში დავდივართ, ყველას პასუხისმგებლობა გვეკისრება ეს ღვთაებრივი ვალი პირნათლად შევასრულოთ.

ესაუბრა
ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი დაიწყო

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტურის ფარგლებში ფესტივალის ჟიური სამუშო ჯგუფთან ერთად საჩხერის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩავიდა.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით სპეციალური ჟიური 28 მუნიციპალიტეტში გეგმავს ჩასვლას. ცაგერის კულტურის სახლში ჟიურიმ ცაგერისა და ლენტეხის მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, ავტორმთქმელებს, ზეპირსიტყვიერების შემკრებთ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს მოუსმინა, აღწერა და დაათვალიერა.

ლენტეხიდან ანსამბლებმა სვანური სიმღერა-ფერხულები წარმოადგინეს, ზეპირსიტყვიერების ოსტატებმა კი საკუთარი შემოქმედება და სიტყვიერი ფოლკლორის ტრადიციული ნიმუშები გაგვაცნეს.

ცაგერის ანსამბლმა ტრადიციული ლეჩხუმური სიმღერები შეასრულა. გამოიფინა ტრადიციული რეწვის, ხეზე მხატვრული კვეთისა და ფერწერის ნიმუშები. ეროვნული ფესტივალი 2022-ის პირველი ტური 15 ივნისს დასრულდება. მეორე ტური და ფინალი კი შემოდგომაზე გაიმართება. ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი ყოველ ხუთ წელში იმართება და მისი მიზანი საქართველოში არსებული ყველა ფოლკლორული ანსამბლის, ინდივიდუალური შემსრულებლის, თუ საოჯახო ანსამბლის მოსმენა და აღწერაა. ეროვნული ფესტივალი 2022 კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

„ვიდრე კაენის ქვა დაზუზუნებს“...

„ზოგან წვიმა და...
ზოგან თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!..“

რასაც დღეს უკრაინაში პუტინის რუსეთი სჩადის, — „პოლიტიკური ინცესტია“..

ეს არის უპრეცედენტო შინა ომი ერთი დიდი ოჯახის ორ წევრს შორის!

„უფროსო ძმებო“, ისტორიულ მეხსიერებას სად მიუდიხართ?!

ბოლოს და ბოლოს, არსებობდა „კიევის (და არა ხარკოვის) რუსეთი“.

ჰოდა, ვის ფეხმძიმე ქალებს უშენთ ყუმბარებს?!
ძმისშვილებს როგორ იმეტებთ დასახოცად?!

რუს პოეტს, ანა ახმატოვას, ასეთი სტრიქონი აქვს: „И мы спасём Великое русское слово!“...

ეპითეტების გარეშე მოვიხსენიე საქვეყნოდ ცნობილი პოეტი, იმიტომ რომ, ტიტულების ჩამონათვალი უცნობს ესაჭიროება, თორემ ცნობილისთვის სახელი და გვარიც საკმარისია! ზოგჯერ „მარტო სახელიც!

სხვათა შორის, მიუხედავად მუსლიმური წარმომავლობის გვარისა (ახმატოვა), სინამდვილეში, ოდესელი უკრაინელია, გორენკო!

მას არავისგან ესწავლებოდა, რომ „Русское слово“ მშობლიური და გასაგები იყო რუსისთვისაც, უკრაინელისთვისაც, ბელორუსისთვისაც.

ისინი რომ, შემდგომ, ცალ-ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, დროშა და გერბი შეეცვალათ, სისხლი ხომ არა?!

ნეტავი, დღეს ახმატოვა ცოცხალი ყოფილიყო! გინდაც, მარინა ცვეტაევა, გინდაც-მიკოლა ბაჟანი! თუნდაც, ევგენი ევტუშენკო, ვიტალი კოროტიჩი, შევგენი გუცალო!

ან ჩვენებურები: სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეები, ძმები ჭილაძეები, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე და არაერთი სხვა!

ემარჯვებოდათ მქუხარე სიტყვა! ძარღვიანი პუბლიცისტური პაექრობანი! გააშიშვლებდნენ მოძალადეს!..

მოსუფთავდა გამოჩენილთა საასპარეზო ველი რჩეულთაგან, აქაც, იქაც და, ვაითუ, მსოფლიოშიც!..

ამიტომაც, ძალიან გვახარებს ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ნაყოფიერი უკრაინელი ქართველოლოგის გრიცკო ხალიმონენკოს წარმატებული მოღვაწეობა!

დარწმუნებული ვართ, ქართველი „უკრაინელის“, პოეტისა და დიპლომატის, რაულ ჩილაჩავას მოღვაწეობასაც, ასევე პატივს მიაგებენ ჩვენი უკრანიელი ძმები!

და აი, ამ ფონზე, მეტად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნევა ვანო ჩხიკვაძის ლექსების ციკლი- „ვიდრე კაენის ქვა დაზუზუნებს“, ეს ლექსები, თავადაც დარწმუნდებით, თანაბრად და, რაც ხაზგასასმელია, ხატოვნად ეხმიანება, როგორც 2008 წლის ურცხვად წამოკიდებულ ომს, რომელსაც ამავე ავტორმა შესანიშნავი რომანი — „შუშების ომი“ და რამდენიმე მოთხრობა რომ უძღვნა, ასევე-მიმდინარე სისხლისღვრასაც უკრაინაში!..

„თქვი უკრაინავ, შენი იღბალი, ჩემს ბედისწერას
რამ დაამგვანა!“

ან „რობორ ისვენებ, როცა ჰადესმა, ლამის
ზესკნელიც დაიმორჩილა!

როცა ნანგრევში პატრონს დაეძებს
დამწუხრებული
მუნჯი თოჯინაც?!“

დიახ, ძნელი საკითხავი გახლავთ ეს ლექსები, მოზღვავებული თანაგანცდის კვალდაკვალ, მაგრამ, ამავე დროს, სასიამოვნოცაა, ალბათ, სულიერი კათარზისის გამო...

გიზო ზარნაძე

ვანო ჩხიკვაძე:



თავისუფლება არ მქონდა, ახლა... სამშობლოც არ მაქვს

მახსოვს

**მახსოვს, როგორ სცემდა
გორთან
რუსის გენერალი მოლთას.
მუზეუმში ჯავრი ჭამდა
მშიერ ორლესულს და გორდას.
რა ტანჯვითაც გამითენდა,
იმავ ტანჯვით დამიღამდა,
მახსოვს, ცხვირით ნაკაცარი
„წიწოლა“ რომ მიწას ხნავდა.
მახსოვს, როგორ დაიჭექა
ჩვენი იმედების თაღმა,
ნეტავ, ის რაც ცხადში ვნახე,
სიზმარშიაც არ მენახა.
ღმერთო,
ღმერთო,
ასეთ ყოფას,
მიჯობს, სამარეში ვიწვე –
ან მომკალი, ან მაცოცხლე,
ან რაც მახსოვს, დამავიწყე!**

21.12.2021

ომი

გრიცკო ხალიმონენკოს

**სადღაც წვიმა და...
სადღაც თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!**

**დუმს თემერვალი,
ცივი, უმზეო,
ყველგან ღაღანებს ცეცხლის
ჭეჭილი,
რკინის ნახირი – მიწა უმწეო,
ტანკის მუხლუხით გადაღეჭილი.**

**აღარ გიგალობს ჰანგი
ღვთიური,
ირგვლივ სირენის მოთქმა
დახევდა –
ბრძოლის დაწყების
უვერტიურა,
ომის ღმერთიც რომ ხელს
მოაწერდა.**

**შიშით ვიძინებ,
შიში მაღვიძებს.
ვაითუ გაქრი და აღარა ხარ.
მახსოვს აგვისტო –
ო, ამ „ნახირმა“
ჩემი მინდვრებიც მოიბალახა.**

**ხმალი ვიქნიე,
ფარი ვიფარე,
ტანჯვის ემბაზში სისხლმა
გამბანა.
თქვი, უკრაინავ, შენი იღბალი,
ჩემს ბედისწერას რამ
დაამგვანა!**

**ვინ ააქოთა პანდორას ყუთი,
რატომ გწამლავენ, მიწავ,
ნაკურთხო!
აშლილ ავსულთა ჯილაგი
კუთავს,
სიყვარულს სულში რომ
ჩააფურთხოს!**

**სადღაც ცუნამი,
სადღაც ღვარცოფი,
სადღაც ხარები ხნავენ
კორიდას.
ჩაცხრა, წავიდა ცოფი
კოვიდის,
სამაგიეროდ, ომი მოვიდა!**

**ო, ჩერემშინავ,
ცეცხლი ჩაქრება -
ხმები სირენის, ხმალთა
კვეთების,
გაგითბობს ფესვებს მზე
გამარჯვების
და თეთრ კელაპტრად
ამოენთები!**

**ჯერ კი წვიმა და...
ჯერ კი თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!**

27.02.2022

თოჯინა-გაფრთხილება!

**ჯერ კიდევ წუხელ,
ბაფთის პეპელით,
თმაჩაწნული და სუფთა,
მოვლილი,
გდია ნანგრევში მომფერებელი
ხელების სითბოგამოყოლილი.**

**ახსოვს გოგონას გვერდით
ეწვინა,
მერე რაც მოხდა,
რისთვის ან რატომ-
ლოდებში ჩაყვა მკლავი
თოჯინას,
ხელიც არ უჩანს ჩამარხულ
პატრონს.**

**ვიდრე მწუხარე დროშებს
დახრიან,
მოიხსენებენ სულებს, ნაწამებს,
გაოცებული,
შიშით თვალღია
წევს,
წვიმის ცრემლი სცვივა
წამწამებს.**

**ვიდრე სინათლეს კორტნის
უკუნი,
რომ ჯოჯოხეთის გზებით იარო,
ვიდრე კაენის ქვა დაზუზუნებს,
მშვიდად როგორ ხარ,
ადამიანო!**

**როგორ ისვენებ,
როცა ჰადესმა
ლამის ზესკნელიც
დაიმორჩილა,
როცა ნანგრევში პატრონს
დაეძებს
დამწუხრებული მუნჯი
თოჯინაც.**

**ფრთხილად, მსოფლიო!
ხვალაც იბარტყებს,
ვინც ძალადობას
ძეგლი დაუდგა,
ღმერთო, შენ მაინც ჰკითხე
„პილატეს“
ბავშვებს ძმათამკვლელ ომში
რა უნდათ!**

**იფხიზლე, ვიდრე მახვილს
შეიბამს,
ვიდრე აუშვებს ბრძოლის
ფანფარებს,
ვიდრე მდუმარე,
ნატანჯ ხეიბარს,
ცვილის თოჯინას
არ დაგამგვანებს!..**

**ეჰ, დედამიწავ,
შავი მანდილი
ჩამოგაფარა
ისევ გლოვის ხმამ,
უფლის კალთიდან
გადმოვარდნილი,
შენც ეს თოჯინა რატომ
მგონიხარ?!**

16.03.2022

მარიუპოლი

**კალოუბანი,
მარიუპოლი,
ორი ეპოქის ორი ობოლი.**

**ჭურვით და კევრით,
ჩვილი თავთავი,
იავარქმნილი და გალეწილი.
სარკოფაგიდან ლენგი
ღავღავებს-
გახარებული ლანდი შეშლილის.**

**ცრემლმა გათქვარა დედის
საკინძე,
დაჭკნა ყვავილი,
მოწყდა ფოთოლი,
ძველი ტკივილი რად
გააღვიძე,
მარიუპოლი, მარიუპოლი!**

**გათავდა!
შენთვის
პატარავ, უკვე,
აღარც ითოვებს,
აღარც იწვიმებს,
ო, უკრაინავ,
მამაცო კრუხო,
რამდენი ძერა
გტაცებს წიწილებს.
ჟამიანობის ორი ობოლი,
კალოუბანი,
მარიუპოლი!**

18.03.2022

ფილმი აგვისტოს ომზე

**ისევ აქოთდა ქალაქი
კვამლის და დენთის სუნად.
ხრჭიალებს დაჯახებული
რკინა რკინასა ღუნავს.**

**ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.**

**ამერიკული სენდვიჩი,
ბავარიული ლუდი.
ქართულ ტალახში გორაობს
ვარსკვლავი ჰოლივუდის.**

**ჭახანით სკდება ფუგასი,
ტანკის სხეულში ბრუნავს.
მოახლოვდება, დაზაფრავს,
სმენას რუსული „ურა“.**

**გრიმით „ჩეხავენ“ ყვრიმალებს,
ქუჩაში ყრიან ჭურვებს.
დგას რეჟისორი რუპორით-
„ოსკარს“ თვალს უპაჭუნებს.**

**როგორც აგვისტოს რეფრენი,
ქალაქს გუგუნით დაღლის,
ამერიკული ვერტმფრენი,
ფერდზე ქართული დამღით.**

**ვის ახსოვს სამაგიერო
განრისხებული უფლის.
გადიღეს ბომბდამშენების
ცაში მორიგი დუბლი.**

**ფილმია –
ვითომ კვდებიან,
ვითომ იბრძვიან, ვითომ,
ნანგრევში გადაჩეხილი
ვითომ, შველასაც ითხოვს.**

**ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.**

**მე კი, არ ვიცი, აგვისტოს
ომიც და აგონიაც,
ჩვენს დასაქცევად დადგმული
სპექტაკლი რად მგონია?**

**ვიდრე „წითელი ტერორი“
არ დაექანა დაღმა,
თავისუფლება არ მქონდა,
ახლა... სამშობლოც არ მაქვს.**

2009

ამაყი აფხაზი უუფლებო ვერ იქნება!

რატომ არ სურს აფხაზეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა

დიდად მოულოდნელი არაფერი ხდება, არავითარი სიურპრიზები. ეს ყველაფერი მარტივად ეწერება იმ სურათში, რომლის კონტურები დიდი ხანია, გამოიკვეთა. ეს მხოლოდ დამასრულებელი სტადიაა „სტრატეგიული მეგობრის“ გრძელვადიანი გეგმის, რომელსაც იგი ბოლო წლებში დიდად აღარც მალავდა. ჩვენ ხომ მუდმივად გვაფრთხილებდნენ, რომ პოლიტიკაში მეგობრობა და ძმობა არ არსებობს; რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია; რომ რუსეთს პარტნიორობის, მით უფრო „სტრატეგიული პარტნიორობის“ ძალზე თავისებური ხედვა აქვს; რომ მის მიმართ „მეგობრულად“ მოსკოვი მიიჩნევს მხოლოდ მათ, ვინც მზადაა, იქცეს მის ვასალად, ან კიდევ უკეთესი – რუსეთის მორიგ გუბერნიად.

მოახდინა თუ არა მოვლენებზე გავლენა „უკრაინის დენაციფიკაციისა და დემილიტარიზაციის სპეცოპერაციამ“? – შესაძლოა, მხოლოდ დააჩქარა. და არა „სპეცოპერაციამ“, როგორც ასეთმა, არამედ რუსული ჯარის ჩავარდნამ, მის კვალდაკვალ კი – კრემლის გეგმის კრახმა, უკრაინაში ხელისუფლება ჩამოეგდო და თავისი კადრებით ჩაენაცვლებინა. რუსეთში ჩამოყალიბებული სრული საინფორმაციო ვაკუუმის მიუხედავად, სიმართლე ხომ მაინც ჟონავს – და კრემლს სულ უფრო მეტად უჭირს, მოსახლეობას რეალური ვითარება დაუმალოს: „სპეცოპერაციის“ დაწყებიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა, კიევი კი, რომლის აღებას „ორ-სამ დღეში“ გეგმავდნენ, დღემდე აუღებელია; „დემილიტარიზაციას“ ვერ მიაღწიეს – პირიქით, ახლა უკრაინას გაცილებით მეტი იარაღი აქვს, ვიდრე მის ტერიტორიაზე რუსული ჯარის გამოჩენამდე და შეიარაღების ხარისხიც ბევრად უკეთესია; „დენაციფიკაციას“ ასევე ვერ მიიღწია – უკრაინის მთელი მოსახლეობა ერთ მუშტადაა შეკრული, ზელენსკის მსგავსი რეიტინგი არასოდეს ჰქონია, „ნაცისტებსა“ და „ფაშისტებს“ კი უკრაინის მოსახლეობა ახლა სწორედ რუსულ ჯარსა და ხელისუფლებას უწოდებს! და რა ხდება ამ ფონზე თავად რუსეთში? რუსეთში კი ფრონტიდან კვლავ ჩადის „ტვირთი 200“, თანაც წარმოუდგენელი რაოდენობით; მაღაზიებში თაროები ყოველდღიურად ცარიბდება; დეფიციტი უკვე პრაქტიკულად ყველაფერში იგრძნობა; ქვეყანას საგარეო ვალის გასტუმრების კუთხითაც კი პრობლემები აქვს; ხოლო დიქტატურა ყოველწამიერად მძლავრობს. ახლა სახისა და ხელისუფლების შესანარჩუნებლად კრემლს სასწრაფოდ სჭირდება პატარა „გამარჯვებები“, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერთება კი ამ მხრივ ძალიან გამოადგებოდა.

სამხრეთ ოსეთის კუთხით ყველაფერი შემზადებულია – ცხინვალი „ყველაფერზე თანახმაა“. მაგრამ აფხაზეთმა მოსკოვს „უმადურობა“ უჩვენა – დიდი მადლობა ყველაფრისთვის, სიკეთეს არ დაგიგიწყებთ და მზად ვართ, ვიმეგობროთ, მაგრამ მხოლოდ სუვერენული დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსითო.

მოსკოვი გააფთრდა. საქმეში უმალვე ჩაერთო ათასი სჯულის „ექსპერტი“, რომელიც აფხაზეთს „დაუფარავ არამეგობრულ დამოკიდებულებაში“, მეტიც – „სიმხდალეში“ ადანაშაულებს და მეტი ეფექტისთვის ქართული „გრადებით“ აშინებს.

„მაშფოთებს აფხაზეთის ქცევა, რომელიც ფეხს ითრევს და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურს. ამას დაუფარავად არამეგობრულ ნაბიჯად და ამავდროულად მეხსიერების სიმოკლედ ვაფასებ. აფხაზი მოღვაწეები არ ფიქრობენ, რომ მათი ნაციონალისტური აღტკინება მალევე დაიმსხვრევა ქართული „გრადების“ ცეცხლში. ქართულმა ჯარმა რომ აფხაზეთზე გალაშქრება გადაწყვიტოს, მას ორ-სამ დღეში აიღებს. ამათ კი თურმე, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურთ!“ – განუცხადა „REGNUM“-ს „პოლიტოლოგის“ სტატუსით ვინმე ასლან რუბაევმა და დასძინა, რომ „აფხაზეთის მსგავსი ქცევა უბრალოდ სიმხდალეა“.

„დღეს მათ ეს არ სურთ, მაგრამ როგორც კი საქართველოს მხრიდან პოტენციური საფრთხე წარმოიშობა, მაშინვე გაახსენდებათ რუსეთი. ამდენად, მსგავსი რამ არ უნდა დავუშვათ და საკმაოდ ხისტად უნდა დავაყენოთ აფხაზეთის წინაშე საკითხი, მათაც ჩაატარონ რეფერენდუმი და შემოვიდნენ რუსეთის შემადგენლობაში“ – ასკვნის რუბაევი.

სხარტად კი საუბრობს, მაგრამ მეტისმეტად ბევრი კითხვა ჩნდება. მაგალითად, რატომ არ ითხოვდა რუსეთი აფხაზეთისგან მის შემადგენლობაში შესვლას მთელი ეს წლები, სანამ საქართველოს აგრესიისგან გვიცავდა? ახლა რა შეიცვალა? თუ რუსეთი უკვე აღიარებს მოარულ ხმებს იმის შესახებ, რომ უკრაინული „სპეცოპერაციის“ მსვლელობისას მისი ჯარი იმდენად დაჩაჩანაკდა, რომ ახლა სხვების კი არა, საკუთარი თავის დაცვაც კი უჭირს? იქნებ ამასვე უკავშირდება რუბაევის რწმენა, რომ საქართველომ აფხაზეთზე თავდასხმა შეიძლება, სცადოს? თუ ასეა, მაშინ ახლა, როცა რუსული ჯარის დასახმარებლად აფხაზეთიდან უკრაინაში სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო გადასროლილი, საქართველოსთვის ალბათ, საუკეთესო მომენტი იყო თავდასასხმელად, მაგრამ მისი მხრიდან დღემდე რატომღაც ამის ვერანაირი ნიშანწყალი ვერ შევნიშნეთ. ასე, რომ, ღრმა პატივისცემის მიუხედავად, რუბაევის მოსაზრებებში დიდი თეთრი ლაქებია.

მინდა, განვუმარტო მასაც და ყველა დანარჩენსაც, ვისაც აფხაზეთის პოზიცია „სიმხდალედ“ ეჩვენება, რეალურად რატომ არ გვსურს რუსეთის ფედედაციის შემადგენლობაში შესვლა. დიახ, აფხაზეთს ყოველთვის სურდა რუსეთთან მეგობრობა. აფხაზეთს ახლაც სურს ერთად ყოფნა ისეთ რუსეთთან, რომელიც ხელგაშლილია და გულგაშლილი, მსოფლიოში ყველაზე ადამიანური და კეთილი ქვეყანა. აფხაზეთს სურს ისეთი რუსეთის ხილვა, რომელშიც კანონის უზენაესობაა, ადამიანი თავისუფლად სუნთქავს და კეთილდღეობაშია. რუსეთს ხომ ყველაფერი აქვს საამისოდ – მთელი სასარგებლო წიაღისეული, მსოფლიოს მთელი სიმდიდრე. ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს და არა ერთ მცირე ჯგუფს, მმართველ ოლიგარქებსა და სახელისუფლებო ელიტას. მაგრამ დღევანდელ რუსეთს ვეღარ ვცნობთ! ეს სიმონიანების, კისელიოვების, სოლოვიოვების რუსეთია. ეს არის ქვეყანა, სადაც სულის მაგივრად ტელევიზორია და ასეთ რუსეთში აფხაზეთის ადგილი არ არის!

მედიაში საგრძნობლად გახშირდა დაყვედრება, აქაოდა, „რუსეთმა დაგვიცვა, რუსეთი გვინახავს, ჩვენ კი რითი ვუხდითო?!“. მაგრამ საქმე ასე სულაც არ არის. სსრკ-ის დაშლის შემდეგ აფხაზეთი პირველი დადგა რუსეთის მიჯნაზე მის დასაცავად, საკუთარი სისხლის ფასად დავიცავით ერთის მხრივ, ჩვენი დამოუკიდებლობა, ხოლო მეორეს მხრივ – რუსეთის საზღვრები. არავის დაავიწყდეს, რომ საქართველო, რომელიც დიდი ხანია, ნატოში გაწევრებისკენ ისწრაფვის, ამას სწორედ კონფლიქტური ზონის გამო ვერ ახერხებს. ჩვენ უკვე 30 წელია, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ცივილიზებული სამყაროსგან ჩაკეტილები და იზოლირებულები, ვაგრძელებთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვას. ახლა გამოდის, ეს ყველაფერი ფუჭი იყო? უბრალოდ, საზარბაზნე ხორცის როლს ვასრულებდით?!

რაც შეეხება იმ ტიპის დაყვედრებას, როგორიცაა, მაგალითად, „რუსეთი გვეხმარება, პენსიებს გვიხდის, ჩვენს ხელისუფლებას ინახავსო“ და ა.შ., ეს ჩვენი კოლაბორაციონისტული ხელისუფლება არა ხალხის ინტერესებს ემსახურება, არამედ უბრალოდ მშვენივრად ცხოვრობს იმ რუსული ფულით! ყოველ შემთხვევაში, აფხაზი ხალხისთვის ამას არავითარი სიკეთე არ მოუტანია, სამაგიეროდ მუდმივად გვაყვედრიან ამ რუსულ ფულს რუსეთისვე პროპაგანდისტები.

დიახ, რუსული ფული ინახავს აფხაზურ მილიციას, რომელიც, ჩათვალეთ, არ არსებობს, რადგან ემსახურება კორუფციას და არა მართლწესრიგს. დიახ, რუსული ფულით მსახურობენ დღეს აფხაზურ ჯარში, რომელიც არსობრივად, ასევე არ გვყავს – თუ არ ჩავთვლით გაბღენძილ გენერლებს, რომლებიც უზარმაზარ რუსულ თანხებს შთანთქავენ. დიახ, რუსულ დოტაციებზე ზის დღეს უშიშროების მთელი სამოხელეო აპარატი, რომელიც ასევე არ ემსახურება პატარა ერის ინტერესებს. ჩინოსნების მთელი ეს ჯარი უბრალოდ თქვლეფს გადასახადების რუსი გადამხდელების თანხებს და რუსულმა მხარემ ეს მშვენივრად უწყის!

რაც შეეხება რიგითი აფხაზების ინტერესებს, დიახაც, მათ არ სურთ იმ რუსეთში, რომლის ბაზარზეც საკუთარი პროდუქციის გატანას უკრძალავენ. არ სურთ რუსეთში, საიდანაც ელემენტარულ საყოფაცხოვრებო ნივთებსაც კი ვერ შემოიტანისე, რომ საზღვარზე ხარკი არ იხადო და არ დაგამცირონ.

ხშირად გვსაყვედურობენ იმასაც, რომ უარს ვამბობთ იმ კანონების მიღებაზე, რომელიც ჩვენი ქონების რუსეთის მოქალაქეებზე რეალიზებას დაუშვებდა. მუდმივად გვიმეორებენ, „უნდა მიიღოთ, ეს აუცილებელიაო“. არადა, საუბარია კანონებზე, რომლებიც აფხაზეთს დაღუპავს! ჩვენი ქვეყანა არასოდეს წავა საკუთარი თავის რუს ოლიგარქებზე მიყიდვაზე, თორემ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, თუ რიგითი რუსები აქ თავისთვის უძრავ ქონებას შეიძენენ.

დასასრულს – ბოლო და ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რატომ არ ილტვის აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. აფხაზი ვერ იქნება უუფლებო, ამჟამინდელი რუსეთი კი ნამდვილი პოლიციური სახელმწიფოა! ჩვენი პატარა, მაგრამ მშვენიერი და ამაყი ქვეყანა აცნობიერებს, რომ ასეთ რუსეთში ყოფნა მისთვის სახიფათოა, რომ მცირერიცხოვანი ერი ამჟამინდელ რუსეთში უბრალოდ გაქრება.

ასე, რომ არ სურს აფხაზეთს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა, არ სურს და არ შევა!

ინალ არისტავა

იენს სტოლტენბერგი: რუსეთის ქმედებების საპასუხოდ ვთხოვეთ ჩვენს სამხედრო მეთაურებს, შემოგთავაზონ ვარიანტები, რასაც ვუწოდებთ გადატვირთვას, ნატოს გრძელვადიან ადაპტაციას

სტოლტენბერგის თქმით, ალიანსი არის **„ძალიან ფუნდამენტური ტრანსფორმაციის შუაგულში“, რომელიც ასახავს უკრაინაში ვლადიმერ პუტინის ომის „გრძელვადიან შედეგებს“.** ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, ნატოს აღმოსავლეთ საზღვრებზე სამხედრო ძალების მუდმივი განთავსება იგეგმება.

„რასაც ახლა ვხედავთ არის ახალი რეალობა, ევროპული უსაფრთხოების ახალი ნორმა. ამიტომ, ჩვენ ვთხოვეთ ჩვენს სამხედრო მეთაურებს შემოგვთავაზონ ვარიანტები, რასაც ჩვენ ვუწოდებთ გადატვირთვას, ნატოს გრძელვადიან ადაპტაციას. ნატო არის ყველაზე წარმატებული ალიანსი ისტორიაში ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ჩვენ შევძელით ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის გაერთიანება. მეორეც, ჩვენ შევძელით შეცვლა, როდესაც სამყარო შეიცვალა. ახლა სამყარო იცვლება და ნატოც იცვლება“, – თქვა სტოლტენბერგმა. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ რუსეთი და ჩინეთი სულ უფრო ხშირად მუშაობენ ერთად. სტოლტენბერგის განცხადებით, ნატოს 2010 წლის სტრატეგიაში ჩინეთი ნახსენები საერთოდ არ არის, რაც ასევე შეიცვლება, რადგან ჩინეთის მზარდ საფრთხეს ყურადღება უნდა მიექცეს.

ზელენსკი პუტინს დიდ ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ შეხვდება

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილ პოდოლიაკი აცხადებს, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი ვლადიმერ პუტინს დიდ ბრძოლებში, მათ შორის დონბასში გამარჯვების შემდეგ შეხვდება.

„ადვილია იმის თქმა, რომ ერთ-ორ კვირაში პრეზიდენტების დონეზე შევხვდებით. არა. ეს მოხდება შემდეგი გზით. უკრაინა უკვე მზად არის დიდი ბრძოლებისთვის, უკრაინამ უნდა მოიგოს ეს ბრძოლები, მათ შორის დონბასში, რის შემდეგაც უკრაინას მოლაპარაკებებში ექნება უფრო არსებითი პოზიცია, რომლის მიხედვითაც მას შეეძლება გარკვეული პირობების კარნახი. ამის შემდეგ პრეზიდენტები შეხვდებიან. ამას შეიძლება ორი კვირა დასჭირდეს, შესაძლოა სამი“, – განაცხადა პოდოლიაკმა. პოდოლიაკის თქმით, რუსეთს ჯერ ბოლომდე არ ესმის, რომ უკრაინასთან აუცილებელია საუბარი თანაბარ პირობებში, სულ მცირე და მაქსიმუმ კი, უნდა უსმინოს უკრაინას.

უკრაინა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს წყვეტს

„რუსული იმპორტის აკრძალვა დაბლოკავს მინიმუმ 6 მილიარდი დოლარის ოდენობის ყოველწლიურ შემოსავალს. ეს ნიშნავს, რომ მტრის ბიუჯეტი არ მიიღებს ამ თანხებს, ის ვერ გამოიყენებს მათ ომის დასაფინანსებლად. ჩვენ დღეს ეს იურიდიულად დავაფიქსირეთ, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით“,** – განაცხადა უკრაინის პირველმა ვიცე-პრემიერმა, იულია სვირიდენკომ. რუსული წარმოების პროდუქციაზე ემბარგოს დაწესების შესახებ უკრაინის უმაღლეს რადაშიც განაცხადეს.

„რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სავაჭრო ემბარგო დაწესდა. რუსეთის ფედერაციიდან უკრაინის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის იმპორტი აკრძალულია“, – განაცხადა უმაღლეს რადაში მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა, ტარას მელნიჩუკმა.

დიდმარხვის მეხუთე კვირიაკე

10 აპრილს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ იხსენიება ღირსი მარიამ მეგვიპტელი, რომლის ტროპარი ასე იგალობება: „მეძავობათა მიერ პირველ აღსავსე მრავალ სახეთა სძლად წმიდად ქრისტესა დღეს სინანულითა შეწყნარებულ იქნა, ანგელოზთა მოქალაქობითა და მიმსგავსებული ეშმაკთა ჯვარითასა საჭურვველითა უჩინო ჰყოფს; ამისთვის მეუფისა გამოჩნდა სძლად მარიამ დიდებული (მეგვიპტელი).

გიული ლიპარტია

მოსაწვევი

სს „მცხეთა“-ს (ს/ნ: 236033136) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე

სს „მცხეთა“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 236033136, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ., №73) (შემდგომში **„საზოგადოება“**) აქციონერების საყურადღებოდ

ბატონებო და ქალბატონებო,

საზოგადოების დირექტორი გიწვევთ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე (შემდგომში **„კრება“**).

კრება გაიმართება **2022 წლის 2 მაისს, 15:00 საათზე** შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ., №73.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია **2022 წლის 4 აპრილი** და კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.

კრების დღის წესრიგი:

1. აქციების გაუქმება და კაპიტალის შესაბამისობაში მოყვანა.
2. გარდაქმნის ფორმით საზოგადოების რეორგანიზაცია, კერძოდ, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა.

აქციონერი კრებაში მონაწილეობს უშუალო დასწრების ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აქციონერს კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით.

აქციონერის კრებაში მონაწილეობა ხდება პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით. კრებაში მონაწილეობის უფლება და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობა სააღრიცხვო დღის მდგომარეობით შეგიძლიათ იხილოთ **მოწვევის დანართებში** და ასევე, შეამოწმოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“.

რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაციაა:

- ელ. ფოსტა: info@usr.ge
- ტელ. ნომერი: +995 577740109
- ვებ-გვერდი: http://usr.ge/

მოსაწვევის სრული ტექსტი და მისი დანართები გთხოვთ იხილოთ მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, სადაც ისინი გამოქვეყნებულია დადგენილი წესით. მოსაწვევის სრული ტექსტის ან/და დანართების მოძიებასთან დაკავშირებით დახმარების საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს წარმომადგენელს შემდეგ ნომერზე: 599084348 ან მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: i.lekishvili@outlook.com

პატივისცემით,
ლევან ჯანაშია
დირექტორი
8 აპრილი, 2022 წელი

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

არჩილ ბლიაძის შეტყობინების თაობაზე

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/109-2021) საერთაშორისო მნიშვნელობის -60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის (2) მშენებლობის პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე არჩილ ბლიაძის (პ/ნ 56001001830) (შემდგომში - მესაკუთრე) საკუთრებაში არსებულ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.32.200) მთლიანი ფართობის 1445 კვ.მ.-ის, ნაწილზე - 433 კვ.მ-ზე, მასზე არსებულ უძრავ ქონებასა და მრავალწლიან ნარგავებზე. აღნიშნულ საქმეზე 2022 წლის 02 მარტს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

გაცნობებთ, რომ დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საბანკო რეკვიზიტის წარმოდგენას, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა.

დეპარტამენტი მესაკუთრეს სთხოვს გაითვალისწინოს, რომ დათქმულ ვადაში საბანკო რეკვიზიტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხას დეპარტამენტი განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრეს უფლება აქვს საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შეთავაზებული დირებულების ოდენობაზე, იდავოს სასამართლო წესით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შეფერხების გარეშე.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ნინო ბლიაძის და ალექსანდრა ჭიპაშვილის შეტყობინების თაობაზე

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №33/110-2021) საერთაშორისო მნიშვნელობის -60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის (2) მშენებლობის პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ნინო ბლიაძის (პ/ნ 56001005603) და ალექსანდრა ჭიპაშვილის (პ/ნ 56001001829) (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებულ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.32.201) მთლიანი ფართობის 1710 კვ.მ.-ის ნაწილზე - 545 კვ.მ.-ზე, მასზე არსებულ უძრავ ქონებასა და მრავალწლიან ნარგავებზე. აღნიშნულ საქმეზე 2022 წლის 02 მარტს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, დეპარტამენტი თანამესაკუთრეებს თხოვს, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ დეპარტამენტში საბანკო რეკვიზიტი, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა თანამესაკუთრეებისათვის.

დეპარტამენტი თანამესაკუთრეებს სთხოვს გაითვალისწინონ, რომ დათქმულ ვადაში საბანკო რეკვიზიტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხას დეპარტამენტი განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამესაკუთრეებს უფლება აქვთ, საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შეთავაზებული დირებულების ოდენობაზე, იდაონ სასამართლო წესით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შეფერხების გარეშე.

18 წლის წინ დაკარგული მოზარდის ცხედარი იპოვეს

გორში ადამიანის ცხედარი იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს შსს-ში დაუდასტურეს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია. უწყებაში აცხადებენ, რომ საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, ნაპოვნია 2004 წელს გაუჩინარებული მოზარდის ცხედარი. ამის შესახებ თავად 18 წლის წინ დაკარგული მოზარდის ახლობლები საუბრობენ. ამ დროის განმავლობაში ოჯახი ბავშვის ცხედარს გორის სხვადასხვა ტერიტორიაზე ეძებდა. ცხედარი ე.წ. კომბინატის დასახლებაში, მდინარის პირას ნახეს. ოჯახი ბავშვის მკვლელობაში ბრალს სდებს იაგო ნებიერიძეს, რომელსაც 2019 წელს ცხრა წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობისთვის სასამართლომ უვადო პატიმრობა შეუფარდა.

◎ ლეგიონერი

ტახტთან ახლოს...

დღეს ესპანეთის ჩემპიონატის 31-ე ტურს „რაიო ვალეკანო“ და „ვალენსია“ დახურავენ. თითქოს პრიმერა-დივიზიონის რიგითი მატჩია, მაგრამ ჩვენ „ღამურების“ მეკარის გიორგი მამარდაშვილის სახით ლა ლიგაში ჩვენი კაცი გვყავს და ამიტომაც გვაინტერესებს მისი შედეგი.

მეტიც — „კადისთან“ გასულ ტურში ქართველი ლეგიონერი ზედიზედ მეხუთედ მოხვდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მორიგი მშრალი მატჩი ჩაატარა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და უგოლო სერია 477 წუთამდე გაზარდა!

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პირენეელებმა იქაური სოციალური ქსელების ოფიციალურ გვერდებზე „მატჩის მეფის“ გამოსავლენად დაწყებულ გამოკითხვაში გამარჯვების ერთ-ერთ კანდიდატად ჩვენი თანამემამულე დაასახელეს, მისი კონკურენტები კი **პედრი („ბარსელონა“), ხუანმი („ბეტისი“), ჟოაო ფელიქსი („ატლეტიკო“), კურტუა („რეალი“), მაიორალი („ხეტაფე“), ისააკი („სოსიედადი“), მორალესი („ლევანტე“), ბერენგერი („ბილბაო“) და მოლინა („გრანადა“)** არიან.

რაც შეეხება კითხვას, რომელზეც გულშემატკივრებმა პასუხი უნდა გასცენ და საკუთარ რჩეულს მიანიჭონ უპირატესობა, მისი ფორმულირება ასეთი გახლავთ: „ესენი არიან „ბუდვაიზერის“ ჩემპიონები, ანუ ლა ლიგის 30-ე ტურის „მატჩების მეფეები“. რომელია აღნიშნულ ნომინაციაში თქვენი ფავორიტი? დავძენთ, რომ თუ დღეს მამარდაშვილი 86 წუთის განმავლობაში გოლს არ გაუშვებს, იგი გახდება პრიმერა-დივიზიონის აბსოლუტური რეკორდმენი. ჯერჯერობით მიღწევა კლაუდიო ბრავოს („ბარსელონა“) ეკუთვნის (562 წთ).

◎ ოვალური ბურთი

მეორეც მოვიგეთ!

მასპინძლებთან შეხვედრამდე პირველი ქართული ფრენჩაიზის — „შავი ლომის“ თავკაცი ლადო კილასონია განსაკუთრებით „ელეფანტზის“ ძლიერ შერკინებასა და სწრაფ უკანა ხაზს, აგრეთვე მათ ზე რაგბიში თამაშის გამოცდილებასა და საკუთარ ქომაგთა წინაშე ბრძოლის ფაქტორს უფრთხოდა, რამაც „ისთერნ პროვინსს“ წინა ტურში, ჩვენს მსგავსად, ბონუსით (5 ლელო) მოაგებინა მატჩი „იგლზთან“.

მართლაც, პორტ ელიზაბეთის „მადიბა სთედიუმზე“ გამართულმა ჯახმა დაადასტურა, რომ ერთმანეთს ღირსეული მეტოქენი შეებნენ. ამიტომაცაა კიდევ უფრო ფასეული სტუმართა მიერ მოპოვებული მძიმე გამარჯვება — 25:22 (17:3). მათ სასტარტო შემადგენლობაში, სადებიუტო დუელისგან განსხვავებით, 5 ცვლილება განხორციელდა:

15. მოდებაძე, 14. სვანიძე, 13. თაფლაძე, 12. ქანდაურაშვილი, 11. ჭიჭინაძე, 10. გიორგი ბაბუნაშვილი, 9. პერანიძე, 1. აბულაძე, 2. ზამთარაძე, 3. წიკლაური, 4. მიხეილ ბაბუნაშვილი, 5. ჭეიშვილი, 6. აფციაური (გუნდის კაპიტანი), 7. მამამთავრიშვილი, 8. ივანიშვილი.

„შავი ლომი“ სამხრეთ აფრიკაში მესამე შეხვედრას 23 ნოემბერს „გიფონთან“ გამართავს, ხოლო მანამდე მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნდება, სადაც 17 აპრილს ევროპის სუპერთასის გათამაშების ნახევარფინალში ესპანურ „იბერიანზს“ დაუხვდება.

◎ ევრობასკეტი

უნდა მოვასწროთ!

კონტინენტის საკალათბურთო ჩემპიონატის სტარტამდე ხუთ თვეზე ნაკლები დარჩა, თუმცა მის ერთ-ერთ მასპინძელ საქართველოში ჯერაც არ დასრულებულა მომავალი ფორუმის მიმღები მთავარი სარბიელის მშენებლობა, რომელშიც 15 შეხვედრაა დაგეგმილი.

10 ათას მაყურებელზე გათვლილი თბილისის მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი ღირსების საქმედ და ყოფნა-არყოფნის საკითხად მიიჩნევა, მისი დროულად გახსნა კი სახელმწიფოსთან ერთად შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურებისთვის საჯილდაო ქვას წარმოადგენს.

დასტურად მიუნხენში გამართული ფიბა-ევროპის ბორდის სხდომა გამოდგება, საიდანაც დაბრუნებული მისი წევრი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **გიორგი ქართველიშვილი** ოპტიმისტურადაა განწყობილი:



„ჩვენი დარბაზის შესახებ მსჯელობას დიდი დრო დაეთმო. როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიან სკფ-ის, სპორტის სამინისტროსა და ფიბა-ს წარმომადგენლები. ფიბა ყოველკვირეულად იღებს განახლებულ ინფორმაციას მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

შემუშავებულია სპეციალური გრაფიკი, რომელსაც სამშენებლო კომპანია ზედმიწევნით იცავს. ფიბა-ში ყველა კმაყოფილია და არანაირი პრეტენზია არა აქვთ. დიახ, ეჭვიც არ გამოთქმულა ობიექტის დათქმულ ვადაში ჩაბარების თაობაზე. 4 ივლისს სწორედ ახალ არენაზე უნდა მოეწყოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი ესპანეთთან, 15 ივლისს კი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიხსნება, რომელშიც 20 ნაკრები ითამაშებს.

ფორუმზე დღეში 10 შეხვედრა უნდა ჩატარდეს, რის გამოც ფიბა ერთბაშად სამ სათამაშო მოედანს ითხოვს. სხვათა შორის, მსგავსი სამდარბაზიანი კომპლექსი ევროპაში ბევრი არ არის.

რაც შეეხება არანაკლებ აქტუალურ — მომავალი ევრობასკეტის ჯგუფურ რაუნდში ჩვენი გუნდის ერთ-ერთი შესაძლო მეტოქის — რუსეთის როგორც ეროვნული, ისე ასაკობრივი ნაკრებების დაშვება-არდაშვების საკითხს, მას მაისის ბოლოს დანიშნული ფიბა-ევროპის კონგრესი განიხილავს და ჩრდილოელთა მოკვეთის შემთხვევაში თბილისურ ექვსეულში მონტენეგრო (საუკეთესო რეიტინგით) ან ჩრდილოეთ მაკედონია (შესარჩევში რუსეთის ჯგუფის წევრი) ჩაჯდება. ამ დილემის გადასაჭრელად ფიბა-ევროპის საშეჯიბრო კომიტეტი უკვე მუშაობს.

და ბოლოს: როგორც იცით, მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე 1 ივლისს უკრაინაში უნდა ვითამაშოთ, მაგრამ იქ შექმნილი საომარი ვითარების გამო ფიბა-ს შევთავაზეთ, რომ ივლისის ფანჯრის მატჩები თბილისში გაიმართოს (ჩვენი ორი და უკრაინელთა სამი). მათთან მოვილაპარაკებთ, რომ ერთი კვირით ადრე გვეწვიონ — შეკრებასაც მოვუწყობთ და როგორც გვჩვევია, ისე ვუმასპინძლებთ. მათ საქართველოში თავი ისე უნდა ვაგრძნობინოთ, როგორც სამშობლოში.

ჩვენს გუნდთან თამაშს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენ ორ შეხვედრაში უკრაინელებს ახალ დარბაზში შეკრებილი მაყურებელი, დარწმუნებული ვარ, თავიდან ბოლომდე გულით უქომაგებს. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და მასზეც საბოლოო პასუხს მაისში მივიღებთ“.

ახლა კი დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს: თითქოს პანდემია არ ყოფილიყოს საკმარისი, თებერვალში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიწვა შენობის გარე ფასადის მცირე ნაწილი და დაზიანდა ამ ნაწილის შიდა მხარეც, მაგრამ საბედნიეროდ ზარალი იმ მასშტაბის არ გამოდგა, რომ ევრობასკეტის ჩატარებასა და დარბაზის დროულად ჩაბარებას რაიმე საფრთხე შექმნოდა.

მართლაც, ნაგებობა თითქმის უკვე დასრულებულია — მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები და მთავრდება გარე ფასადი. უკვე დამონტაჟებულია კომუნიკაციების დიდი ნაწილი და ჩამოტანილია ყველა საჭირო ინვენტარი, რომლებიც თანმიმდევრულად მონტაჟდება. ამას ადასტურებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ტაიმ-აუტის“ მიერ მომზადებული სიუჟეტიც:

ლევან თარგამაძე — სამშენებლო კომპანია „საბა კონსტრაქშენის“ დირექტორი. **„ევროპის ჩემპიონატის თბილისში ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება, რადგან დარბაზის მშენებლობა დათქმულ ვადებში გრძელდება. კომპანიის სახელით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 4 ივლისს დაგეგმილი საქართველოსა და ესპანეთის მატჩი ახალ არენაზე მოეწყობა“.**

ვიქტორ სანიკიძე — საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: **„როგორც სპორტის სამინისტრო, ისე კალათბურთის ფედერაცია მუდმივ კავშირზეა სამშენებლო კომპანიასთან. რაც მთავარია, ჩართულია ფიბა, რომელსაც ყოველდღიურად ვუგზავნით ანგარიშს მშენებლობის პროცესის თაობაზე, მათგან კი ვიღებთ შესაბამის რეკომენდაციებს. დღევანდელი მონაცემებით ყველანაირად ვეტევით იმ ვადებში, რაც ფიბა-ს მითითებების შესაბამისად დადგინდა“.**

მოკლედ, 1 სექტემბერს ევრობასკეტის გახსნის მატჩია: საქართველო — ბელგია და ვიმედოვნებთ, რომ „საშემოდგომო“ არ გამოგვყვება.

◎ დიდების დარბაზში

ალალ იყოს!

ოლიმპიური, ოთხგზის ნბა-სა და ევროლიგის ტიტულების მფლობელი, ყველა ვარსკვლავის მატჩის ორჯერ მონაწილე, საუკეთესო მეექვსე მოთამაშე — ეს კალათბურთის არგენტინელი მოვლენის მანუ ჯინობილის კარიერის მხოლოდ მთავარ გაელვებათა ნუსხაა.

აღარაფერს ვამბობთ **გრეგ პოპოვიჩის** დამოძღვრილ პროფესიონალთა ერთადერთ ამერიკულ კლუბ „სან ანტონიო სფურზში“ 16 სეზონის განმავლობაში **ტონი პარკერთან** და **ტიმ დანკანთან** პარტნიორობით შექმნილ ეპოქაზე. და აი, როგორც ნბა-ს ოფიციალური ვებ-გვერდი გვაუწყებს, წლეულს „ცაცია“ ჯადოქარს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის დიდების დარბაზში შეიყვანენ, სადაც მას კამპანიას გაუწევენ ხუთგზის ვარსკვლავოსანი **ტიმ ჰარდუეი,** დიდი მწვრთნელები **ჯორჯ კარლი, ბობ ჰიგინსი, მარიან სტელი**, ქალთა ნბა-ს ლეგენდა **ლინდსი უეილენი** და მსაჯი **ჰიუ ევანსი.**

„ეს ისეთი აღიარებაა, როგორსაც არასოდეს ელოდები მაშინ, როცა კალათბურთის თამაშს იწყებ. მადლობა ყველას, ვინც აღნიშნული მოგზაურობისას დამეხმარა“. — აღტაცებას ვერ ფარავს „ტვიტერში“ ბედნიერი სამხრეთამერიკელი.

◎ რინგზე

მაშინ, როცა კუბელთა საერთო ოლიმპიური მონაგარი სპორტის სხვა სახეობებში მხოლოდ 84 მედალს შეადგენს, სამოყვარულო კრივის დიდოსტატებმა თავისუფლების კუნძულს აღნიშნულ ნადავლზე ოდნავ ნაკლები — 76 ჯილდო მოუტანეს, საიდანაც 41 უმაღლესი სინჯისაა.

დაგვეთანხმებით, ხელთათმნის დანარჩენ ლეგენდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საილუსტრაციოდ **თეოფილო სტივენსონისა** და **ფელიქს სავონის** დასახელებაც კმარა.

და აი, 60-წლიანი პაუზის შემდეგ იქაურები ისევ შეძლებენ პროფესიულ რინგზე ჩხუბს. როგორც ცნობილი გახდა, შესაბამის შეთანხმებას კუბის კრივის ეროვნულმა ფედერაციამ და კომპანია „გოლდენ რინგ პრომოუშენმა“ მიაღწიეს, ამ ფაქტს კი 20 მაისს მექსიკაში გასამართავი შოუ მიეძღვნება. ისიც გაცხადდა, რომ დასახელებულ ღონისძიებას, ალბათ, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონების **ხულიო სეზარ ლა კრუზის, არლენ ლოპესის, რონიელ იგლესიასისა** და **ენდი კრუზის** ბრძოლები დაამშვენებენ.

საქართველო ევროპის დაფარული მარგალიტია!

საქართველოს ეკო-ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და ნორვეგიის სამოგზაურო და ეკო-ტურისტული გამოცემების წარმომადგენლებს მასპინძლობს.

საქართველოს ბრიტანული Geographical-ის, BirdLife-ის, BirdLife-ის, გერმანული Weser Kurier-ის, NABU Magazin Naturschutzheute-ის, Saechsiche Zeitung-ის, Berlin Brandenburger Naturmagazin-ის, Nationalpark-ის, Saechsische Bergsteiger Verbund-ის, Geographische Rundschau-ის, GEO Magazine-ის, დაცული ტერიტორიების შემსწავლელი საერთაშორისო პლატფორმის International platform LT&C Linking tourism and Conservation, ფრინველებზე დაკვირვების ნორვეგიული ჟურნალის Vår Fuglefauna-ის, იტალიური გამოცემა Focus magazine-ის და WWF PANDA magazine-ის მეცნიერები და მკვლევრები ეწვივნენ.

„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან ექსპერტები იმყოფებიან, მათ ინტერესს ეკო-ტურიზმი და ფრინველებზე დაკვირვება წარმოადგენს საქართველოში. ტურის შემდეგ რეიტინგულ გამოცემებში სტატიები დაიბეჭდება, რაც ხელსშეუწყობს ეკო-ტურიზმის პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში. — განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსმა მარინა ბოჯგუამ.

World Wide Fund for Nature-ის ექსპერტი პიტერ პოგოში აცხადებს, რომ ტურიზმს დიდი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს პოპულარიზაციისთვის.

„დღეს მრავალი სახეობის ფრინველი ვნახეთ, ეს ადგილი ძალიან მიმზიდველია ფრინველებზე დამკვირვებლებისთვის, ჩვენ 52 სახეობა აღმოვაჩინეთ, რომელსაც ჩემი ორგანიზაცია იკვლევს და მათ მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ, რაც ხელსშეუწყობს დაცულ ტერიტორიებზე ტურისტების მოზიდვას. საქართველოს 18 წელია ვიკვლევ. ჩვენ დავიწყეთ კავკასიაში ეროვნული პარკების მხარდაჭერის პროგრამა. ვფიქრობ საქართველო კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცენტრსწარმოადგენს“, — აცხადებს პიტერ პოგოში.

ჟურნალ NABU-ის საერთაშორისო რედაქტორი თომას თენარი ამბობს, რომ 20 წელზე მეტია, კავკასიის რეგიონს იკვლევს და მხარს უჭერს ბუნების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

„ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან ერთად ეროვნული პარკების შექმნის, დაცვისა და განათლების მიმართულებით. ვფიქრობ აუცილებელია კავკასიის უნიკალური, მრავალფეროვანი ბუნების წარმოჩენა და გაზიარება, რომ ადამიანებმა მსოფლიოს ბუნებრივი მემკვიდრეობა იხილონ. ჩვენ მადლობლები ვართ როგორც საქართველოს მთავრობის, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, რომლებიც ამ ადგილებს იცავენ. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს სილამაზე გერმანიას და მთელ ევროპას“, — ამბობს თომას თენარი.

დიდ ბრიტანეთში ბუნების დაცვის ორგანიზაციის RSPB წევრი ჯიმ ვოდელი საქართველოს ევროპის ჯერ კიდევ დაფარულ მარგალიტად მოიხსენიებს.

„საქართველოში პირველად არ ვარ, მაგრამ ყოველ ჩამოსვლაზე აღფრთოვანებული ვარ თქვენი ქვეყნით, რომელიც მცირე ზომის მიუხედავად ბიომრავალფეროვნებით, შესანიშნავი კულტურით, საოცარი სტუმარმასპინძლობით, ულამაზესი ეროვნული პარკებით გამოირჩევა. თუნდაც ერთკვირიანი ვიზიტით თქვენ ძალიან ბევრ რამეს აღმოაჩენთ და მე ვაპირებ მოვამზადო სტატია ამ ყველაფრის შესახებ. ვფიქრობ საქართველო ევროპის ჯერ კიდევ დაფარული მარგალიტია, რომლის შესახებაც ბევრს სმენია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი არჩამოსულა საქართველოში, აუცილებლად მოვუთხრობ მკითხველს ამ ეროვნული პარკის შესანიშნავი მცველების შესახებ, რომლებიც ძალიან ბევრს მუშაობენ, რომ აქაურობა დაცული იყოს“, — აცხადებს ჯიმ ვოდელი.

ტურის ფარგლებში, სამოგზაურო გამოცემების წარმომადგენლებმა თბილისი, სიღნაღი, დავით-გარეჯი მოინახულეს. ტურის მონაწილეებმა დაცული ტერიტორიები: **ჭაჭუნის აღკვეთილი და ვაშლოვანის ეროვნული პარკი დათვალიერეს, სამოგზაურო მედიის წარმომადგენლებმა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ფრინველები და ცხოველები გადაიღეს...**

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება თვალსაჩინო მეცნიერ-ქიმიკოსის, ერთგული მეგობრის, აკადემიკოს

შოთა სამსონიას

გარდაცვალებას, უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს და ქართველ ქიმიკოსთა საზოგადოებას.

მილიონობით დევნილი და 15 ათასამდე უგზო-უკვლოდ დაკარგული

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, საცხოვრებლის დატოვება 11 მილიონზე მეტ ადამიანს მოუწია. ამის შესახებ ინფორმაციას გაერო ავრცელებს. საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, 4.4 მილიონი უკრაინელი ლტოლვილად იქცა თავი მეზობელ ქვეყნებს, ასევე სხვა სახელმწიფოებს შეაფარა. ლტოლვილების 90 პროცენტი ქალები და ბავშვები არიან.

ამასთან, უკრაინის ხელისუფლების ინფორმაციით, 9 აპრილს ქვეყნის ტერიტორიაზე 10 ჰუმანიტარული დერეფანი შეთანხმდა.

დასავლური სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით, რუსული საოკუპაციო ძალები მშვიდობიანი მოქალაქეების დაბომბვას აგრძელებენ. რუსმა სამხედროებმა სარაკეტო იერიში ქალაქ მირგოროდზე მიიტანეს. უკრაინის სახალხო დამცველის, ლუდმილა დენისოვას განცხადებით, რუს ჯარისკაცებს ქალაქ ბუჩაში წამებით სიკვდილამდე მიჰყავდათ არამხოლოდ ზრდასრული ადამიანები, არამედ ბავშვებიც. უკრაინის სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ამ დროისთვის უკრაინის 15 ათამდე მოქალაქე დაკარგულად ითვლება.

თურქული იაფი წამლები სწრაფად გაიყიდა და ბაზარზე დეფიციტიც გაჩნდა!

საქართველოში შემოტანილ იაფ მედიკამენტებზე დეფიციტი შეიქმნა. მოსახლეობამ ჩათვალა, რომ იაფი წამლების მარაგი აფთიაქებში ამოიწურებოდა და მედიკამენტები დიდი ოდენობით შეისყიდა. თურქეთიდან საქართველოში შემოტანილი, დაბალფასიანი მედიკამენტების დეფიციტს ჯანდაცვის მინისტრი პანიკური შესყიდვებით ხსნის.

„საწყის ეტაპზე თურქეთიდან წამლები ორმა-სამმა დისტრიბუტორმა შემოიტანა. როცა მოსახლეობამ აფთიაქებში იაფი მედიკამენტები ნახა (რასაც, მაგალითად, ერთი თვით ადრე 170 ლარად ყიდულობდა, ახლა 30-35 ლარი ღირდა), გაუჩნდა განცდა, თითქოს ამას ერთჯერადი აქციის სახე ჰქონდა. აქედან გამომდინარე, თუ ადრე თითო კოლოფს ყიდულობდნენ, ახლა ძალიან ბევრი შეიძინეს და, ერთი თვის მარაგის ნაცვლად, წლიური მარაგი გაიკეთეს.

დისტრიბუტორებმა მაინც სწორად დაგეგმეს, „ცხელი ხაზიც“ შეექმენით, რათა გვცოდნოდა, კონკრეტულად რომელი მედიკამენტის დეფიციტზე იყო ყველაზე მეტი პრეტენზია“, — განაცხადა **ზურაბ აზარაშვილმა** და დასძინა, რომ ბოლო 10 დღეა, მედიკამენტების საკმარისი რაოდენობა შემოიტანეს.

ფარმაციის სფეროს წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მიზეზი თავად თურქეთის ბაზარზე არსებული მედიკამენტების ლიმიტირებული რაოდენობაა. ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორის, **ირაკლი მარგველაშვილის** აზრით, პრობლემა ხელოვნური არაა და ფარმაცევტული კომპანიების ცუდ მუშაობას არ უკავშირდება.

„მედიკამენტების იმ რაოდენობას, რაც საქართველოს სჭირდება, თურქული ბაზარი ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს. ის მოცულობა, რაც თურქეთშია მიმოქცევაში, წამლების მწარმოებლებმა დაგეგმეს თურქული ბაზრისთვის და რაც ზედმეტობაა, ჩვენ იმას ვიღებთ. ე.ი.მედიკამენტების ნაწილი, როგორც ახლაა, ისე იქნება, მაგრამ მოლოდინი, რომ ყველა აფთიაქში იქნება ამ ფასად, არ უნდა გვქონდეს“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი შეხედულებით, იმისთვის, რომ ეს მედიკამენტები ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის და არა მხოლოდ მათთვის, ვისაც შეხვდება, უნდა გატარდეს სხვა რეფორმებიც. პირველი — ესაა ელექტრონული რეცეპტი, რისკენაც ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მოსახლეობის დანახარჯის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის არასწორად და ჭარბად დანიშნული წამლები.

„ჩვენი მიზანია, მედიკამენტი არა მხოლოდ გავაიაფოთ, არამედ ნაკლები წამალი დასჭირდეს ადამიანს. ამის მისაღწევად აუცილებელია, გავზარდოთ ექიმების განათლების დონე და, მეორე მხრივ, დავალაგოთ ურთიერთობა ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიასა და ჯანდაცვის მუშაკებს შორის, რათა შევამციროთ ექიმის ფინანსური დაინტერესება, რის გამოც ის ბევრ წამალს უწერს პაციენტს. დანახარჯების 25%-ის მიზეზი სწორედ ესაა.

შემდეგი ნაბიჯი იქნება ფასნამატის რეგულაცია. ძალიან აქტიური კამპანია დაიწყო ჯენერიკების მიმართულებით, მაგრამ აუცილებელია ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება, რათა დარწმუნებული ვიყოთ ჯენერიკების ხარისხში“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ჯანდაცვის სამინისტრო სწორედ ამის დანერგვას აპირებს. 11 აპრილიდან ექიმი ვალდებული იქნება მედიკამენტი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს. ფარმაცევტი მომხმარებელს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ, გენერიკული მედიკამენტების „პოზიტიური სიიდან“ სამ ყველაზე იაფ წამალს შესთავაზებს. მოქალაქე კი თავად გადაწყვეტს, რომელი მწარმოებლის და რა ღირებულების მედიკამენტი შეიძინოს. სიახლე, მე-2 ჯგუფის ფარმაცევტულ პროდუქტს შეეხება.

„პოზიტიურთა სია“-ში შედის: აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებული მედიკამენტები; ეროვნული რეჟიმით რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც წარმოებულია საქართველოს მთავრობის №188 დადგენილებით განსაზღვრულ ქვეყნებში; საქართველოში წარმოებული მედიკამენტები. სხვა მედიკამენტებისთვის „პოზიტიურ სია“-ში მოსახვედრად კი საჭირო, „ჯიემპი“ სერტიფიკატისა და ბიოექვივალენტობის (ინ ვივო მეთოდით) ჩატარებული კვლევის შედეგის წარმოდგენა.

აღსანიშნავია, კომბინირებული, ვიწრო თერაპიული ინდექსის მქონე და სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული მედიკამენტები წარმოადგენს გამონაკლისს და მათზე გენერიკული რეცეპტი არ გამოიწერება.

11 აპრილიდან ცვლილებები შეეხება ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოწერის წესსაც. ფორმა №2 რეცეპტი მატერიალური სახით (ქაღალდზე) აღარ გაიცემა და მისი გამოწერა მხოლოდ ელექტრონული ფორმით მოხდება.

ფარმაცევტული სფეროს გამჭვირვალობის, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მედიკამენტების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, პირველი მარტიდან ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება და ექიმი ვალდებულია, მეორე ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტი გამოწეროს მხოლოდ ელექტრონულად, ფორმა №3 რეცეპტის საშუალებით.

ბექა დანელია

პოეტი რაულ ჩილაჩავა კულტურის სამინისტროში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი და მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე პოეტ რაულ ჩილაჩავას შეხვდნენ. შეხვედრას საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, მწერალი გურამ ოდიშარიაც ესწრებოდა.

რაულ ჩილაჩავამ მადლობა გადაუხადა კულტურის სამინისტროს მისთვის უკრაინაში ომის პირობებში აღმოჩენილი თანადგომისა და დახმარებისთვის.

„ამასთან, შეხვედრაზე რამდენიმე კულტურული პროექტის შესაძლო განხორციელებაზე გაიმართა მსჯელობა და სამომავლო თანამშრომლობის გზები დაისახა.

რაულ ჩილაჩავა გახლავთ ქართველი დიპლომატი, მთარგმნელი, პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პუბლიცისტი. იგი 1970 წლიდან ცხოვრობდა კიევში, მუშაობდა უკრაინულ პრესაში ჟურნალისტად, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად; 1992-2005 წლებში იყო უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად უკრაინის დედაქალაქის წამყვან უნივერსიტეტებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას; კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიაში ხელმძღვანელობდა უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრას, დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციას; 2005-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში.

რაულ ჩილაჩავა არის საქართველოსა და უკრაინის მწერალთა კავშირების წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ასევე, რუსთაველის და მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატი“, — ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბათუმის განახლებული საზაფხულო თეატრი

ბათუმში საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია დასრულდა. თეატრი უახლოეს პერიოდში უმასპინძლებს კულტურულ ღონისძიებებს. რეაბილიტაციის ფარგლებში, განახლდა თეატრის ინტერიერი, განათებისა და გახმოვანების სისტემები. მოწესრიგდა შენობის გარე ფასადი. თეატრის ტერიტორიაზე დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. პროექტის ღირებულება 500 000-მდე ლარს შეადგენს.

„სულ მალე, როგორც ბათუმელები, ასევე ქალაქის სტუმრები შეძლებენ განახლებულ თეატრში, ახალ გარემოში საინტერესო თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებზე დასწრებას“, — აცხადებს ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი. **საზაფხულო თეატრის ხის უნიკალური შენობა ბათუმის ბულვარში 1947 წელს გაიხსნა. 1998 წელს შენობა დაიწვა, 2013 წელს კი განახლდა. იგი ძველ ადგილზე, ბულვარის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. თეატრი 1 200 მაყურებელს იტევს.**

„მარო თარხნიშვილი-130“

პირველი ქართველი ლოტბარი ქალის, მარო თარხნიშვილის დაბადებიდან 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ონლაინფორმატში გრძელდება.

საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციით, ექსპოზიციის დათვალიერება შესაძლებელია ბმულზე.

გამოფენა, რომელსაც 2021 წლის დეკემბერიდან ორი თვის განმავლობაში ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონი მასპინძლობდა, წარმოდგენილი იყო მარო თახნიშვილის მოგონებები, წერილები, ფოტოები, საკონცერტო აფიშები და პროგრამები, შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

იწყება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კულტურის სახლის აღდგენა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში მდებარე მძიმე მდგომარეობაში მყოფი კულტურის სახლის რეაბილიტაციის მიზნით, პროექტი მომზადდება.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, შრომის კულტურის სახლი საქართველოში შემორჩენილ კულტურის სახლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია თავისი ინფრასტრუქტურით და მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. შესაბამისი ტენდერი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე გამოაცხადა. რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 140 000 ლარს შეადგენს. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. მოხდება ფასადებისა და შიდა სივრცეების რეაბილიტაცია-გაწმენდა, გამაგრება, აღდგენა, რესტავრაცია, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება შენობის ავთენტურობის შენარჩუნება და შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის კულტურის სახლის რეაბილიტაცია 2021 წლის ოქტომბერში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ვიზიტისას, მძიმე მდგომარეობაში მყოფი კულტურის სახლების მონახულების შემდეგ გადაწყდა. რეაბილიტაციის პროექტის შექმნა ამ დაპირების შესრულებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

როგორც ცნობილია, კულტურის სახლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ამიტომ, რეაბილიტაციის შედეგად სრულად იქნება შენარჩუნებული მისი ისტორიული იერსახე, შენობის ექსტერიერსა თუ ინტერიერში შემორჩენილი ყველა არქიტექტურული ელემენტი და მხატვრული დეკორი.

ინფორმაციისთვის, სოფელ შრომის კულტურის სახლი გამორჩეული არქიტექტურული შენობაა, რომელიც 1956 წელს აშენდა. შენობა დეკორატიული ელემენტებით შემკული ფასადებით ხასიათდება. მხატვრული ელემენტების სიმდიდრით გამოირჩევა კულტურის სახლის დარბაზი, მასშტაბურია სოცრეალიზმის სტილში შესრულებული პლაფონის ცენტრალური მხატვრული კომპოზიცია, რომელიც ასახავს ცის ფონზე წარმოდგენილი გურული გლეხების ყოფით სცენებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0749; ევრო - 3.3473
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0124;
100 რუბლი - 3.8706; თურქული ლირა - 0.2092;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8135;
1000 სომხური დრამი - 6.4631.

ამინდი 11 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge